

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, ფინანსები და საბანკო საქმე

ჯემალ კვარიანთაშვილი

**ბიზნეს დაკრედიტების პრინციპები და განვითარების
პერსპექტივები საქართველოში**

*ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად*

ხელმძღვანელი: მოწვეული ასოც. პროფესორი ნათია კახნიაშვილი

თბილისი

2020

ანოტაცია

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის და ასევე მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში. მცირე მეწარმეობის განვითარებით შესაძლებელია დადებითი გავლენის მოხდენა ისეთ ეკონომიკურ პრობლემებზე რომლის წინაშეც დგას დღეს საქართველო. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა უმუშევრობა, რომლის შემცირება შესაძლებელია მცირე მეწარმეობის ხელშეწყობით, რადგან მეწარმეობის ხელშეწყობით მეწარმე თავადაც საქმდება და შესაძლებელია მან მინიმუმ 3-5 ადამინი დაასაქმოს და გაზარდოს მათი შემოსავლები, ასევე მეწარმეობის განვითარებით შესაძლებელია ეროვნული წარმოების ზრდა, რაც სავარაუდოდ შეამცირებს იმპორტის მოცულობას და დადებით აისახება სავაჭრო ბალანსზე.

ჩვენს ქვეყანაში, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის ფორმირების პროცესი რთული და წინააღმდეგობრი ხასიათის მატარებელია, რაც სხვადასხვა მიზეზებით არის განპირობებული: ბაზრის არასრულყოფილება, მონოპოლისტი საწარმოების ზეწოლა მცირე საწარმოებზე, მოსახლეობაში დანაზოგების სიმცირე, დაბალი პროფესიონალიზმი და პრაქტიკური ბიზნეს-განათლების ნაკლებობა, დაბალი საინვესტიციო მიმზიდველობა და სხვა. აქედან გამომდინარე საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ მესამედი მოდის მცირე საწარმოებზე. პრობლემების გადასაჭრელა, სახელმწიფო ინსტიტუტების ჩართულობასთან ერთად ძალზედ მნიშვნელოვანია კომერციული ბანკების სწორი მიდგომა და საკრედიტო პოლიტიკა ბიზნესის ამ სექტორის განვითარებაში.

ნაშრომი შედგება შესავალის, სამი თავისა და დასკვნა-რეკომენდაციებისაგან. პირველ თავში განხილულია კომერციული ბანკების მნიშვნელობა და როლი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში, მეორე თავში განხილულია კრედიტის როლი მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებაში და დაკრედიტების პრობლემები, მესამე თავში განხილულია საქართველოს საკრედიტო სისტემა და საკრედიტო პოლიტიკა მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების საქმეში, ეკონომიკური კრიზისის გავლენა ბიზნესზე.

Annotation

Principles and developing tendencies of business credits in Georgia

Jemal Kvariantashvili

According to the market economic conditions, micro, small and medium-sized enterprises (SMEs) play a significant role in developing country's economy and improving the value of life. Promotion of SMEs can positively impact economic problems that Georgian people face. One of the most important problems is unemployment rate, which can be decreased by upholding the small businesses, in this case, an entrepreneur can employ at least 3-5 people and subsequently increase their income, while also employing themselves. In addition, entrepreneurship may be a remarkable driver for national productivity growth that supposedly will reduce import volume and therefore, will have a beneficial influence on trade balance. I think, in the long run, supporting the micro, small and medium-sized enterprises can enhance levels of human welfare and help find best solutions to social and economic challenges.

In our country, formation of micro, small and medium-sized businesses is a contradictory process, which is caused by many reasons: market imperfection, pressure of monopolist enterprises, scarcity of private savings, low level of professionalism, deficiency of practical business education, low level of investment and credit attractiveness and so on. As a result, SMEs represent only one-third of Gross Domestic Product (GDP) of Georgia. Functioning of state institutions in coordination with commercial banks and relevant credit policy is a crucial principle in solving problems and upgrading micro, small and medium-sized business sector.

The work consists of several parts: introduction, three chapters and conclusion-recommendations. The first chapter underlines the importance of commercial banks and their value in the upgrowth of SMEs. The second one notes the role of credit in the development of SMEs and crediting problems. The third one discusses the credit system of Georgia, crediting policy for SMEs and influence of economic crisis on business.

შინაარსი

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია (ინგლისურ ენაზე)

შესავალი5

თავი პირველი. კომერციული ბანკები - მათი მნიშვნელობა და როლი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში8

1.1 კომერციული ბანკების არსი და ფუნქციები 8

1.2 კომერციული ბანკების განვითარება და საბანკო სესხების დინამიკა საქართველოში.... 12

თავი მეორე. კრედიტის როლი მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებაში და დაკრედიტების პრობლემები..... 20

2.1 მეწარმეობის არსი და მისი როლი ეკონომიკის განვითარებაში 20

2.2 კრედიტის როლი მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებაში..... 27

2.3 კომერციული ბანკის როლი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში და დაკრედიტების პრობლემები..... 28

2.4 კომერციული ბანკების საკრედიტო პროდუქტები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. 31

თავი მესამე. საქართველოს საკრედიტო სისტემა და საკრედიტო პოლიტიკა მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების საქმეში, ეკონომიკური კრიზისის გავლენა ბიზნესზე..... 39

3.1 საკრედიტო სისტემის როლი მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებაში..... 39

3.2 კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა და მცირე და საშუალო ბიზნესთან არსებული პრობლემები..... 44

3.3 ეკონომიკური კრიზისის გავლენა ბიზნესზე და ბიზნეს დაკრედიტების როლი ეკონომიკური კრიზისის დამლევაში 50

დასკვნა..... 55

გამოყენებული ლიტერატურის სია 59

შესავალი

თემის აქტუალობა. განვითარებადი ქვეყნებისთვის, ისეთი როგორც საქართველოა, მიკრო მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას განსაკუთრებული როლი ენიჭება ქვეყნის ეკონომიკის ფორმირებაში. განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის სწრაფი განვითარების წყაროს მეწარმეობის განვითარება წარმოადგენს, სწორედ მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით შესაძლებელია ერთდროულად ზემოქმედება ისეთ ეკონომიკურ მაჩვენებლებზე როგორც არის მთლიანი შიდა პროდუქტი, უმუშევრობა და ზოგად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

მსოფლის თითქმის ყველა წამყვანი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესი. დღესდღეობით კარგად განვითარებული ბიზნეს სექტორის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე ეკონომიკის ფორმირება, რადგან მეწარმეობის განვითარებით ეკონომიკა უფრო მოქნილი და მანევრირებადი ხდება და ამასთან მინიმალური დანახარჯებით უზრუნველყოფს მოსახლეობის საწარმოო და ფინანსური რესურსების მობილიზაციას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ადამიანის მენეჯერული ცოდნის უანრჩვევების განვითარებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და საბოლოო ჯამში ხელს უწყობს საბაზრო ურთიერთობების ფორმირებას და დემოკრატიული პრინციპების ჩამოყალიბებას აღნიშნულ პროცესში.

ბოლო პერიოდის განმავლობაში, მსოფლიოში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მცირე ბიზნესმა. მცირე კომპანიების ძირითად ნაწილს წარმოადგენს საწარმოებიც სადა დასაქმებულია 20-30 ადამიანი და ახალი სამუშაო ადგილების 2/3 შექმნას სწორედ მცირე საწარმოები ახორციელებენ. მცირე საწარმოები არამარტო სამომხმარებლო სფეროში არიან ეფექტიანები, არამედ ისეთ დარგებში სადაც იწარმოება მცირე მექანიზმები და დეტალები, ნახევარფაბრიკატები და სხვა ისეთი საქმიანობა რაც მსხვილი საწარმოებისთვის არარენტაბელურია. მეურნეობის ამ სექტორში მიუხედავად კაპიტალის სიმცირისა, ისტორიულად ქვეყნების უდიდეს ნაწილში არ მომხდარა მიკრო მცირე და საშუალო ბიზნესის მასშტაბების შეზღუდვა, რადგან მათ განსაკუთრებული სიცოცხლისუნარიანობა გამოავლინეს.

თანამედროვე პირობებში საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდა და განვითარება, პირველ რიგში იმიტომ რომ სწრაფად შესაძლებელია ეკონომიის განვითარება და მეორეს მხრივ, საქართველოსთვის

როგორც პოსტსოციალისტური ქვეყნისთვის თავისუფალი ეკონომიკის ფუნდამენტური ფასეულობების ფორმირებისთვის.

დღესდღეობით საქართველოში მცირე საწარმოო სუბიექტების ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა ფინანსური რესურსების სიმცირეა, საარსებოდ და ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების მოსაგვარებლად ესაჭიროება როგორც არის მაგალითად: ძირითადი საშუალებების განახლება ან ახალი საწარმოო დანადგარების შეძენა, ნედლეულის და სახარჯი მასალების შეძენა, საგადასახადო ან/და კრედიტორული დავალიანების დაფარვა და სხვა.

ნაშრომის კვლევის საგანი და ობიექტი. თემის დამუშავების პროცესში კვლევის ძირითადი მიმართულება იყო საბანკო სექტორის როლი მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში და ამ კუთხით გარკვეული ნაკლოვანებების გამოვლენა საქართველოში, საკრედიტო პოლიტიკის გავლენა ეკონომიკურ მაჩვენებლებზე და მათ სტატისტიკური ანალიზი, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელობა და მისი განვითარების ხელშემწყობის საბანკო სექტორის და სახელმწიფოს ურთიერთშეთანხმებული მოქმედებებით.

მიზანი და ამოცანები. ნაშრომის მიზანია საქართველოს საბანკო სექტორის, ბიზნეს დაკრედიტების პოლიტიკის ნაკლოვანებების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის გზების ძიება, ასევე ახალი საკრედიტო პროდუქტების და მიდგომების აღმოჩენა რაც ხელს შეუწყობს გაუმჯობესებული საკრედიტო პოლიტიკის ფორმირებას, რაც თავის მხრივ წაახალისებს მიკრო მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას საქართველოში.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. ნაშრომში გაანალიზებულია, თუ რა როლს ასრულებენ კომერციული ბანკები მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში და შემუშავებულია რეკომენდაციები ბიზნეს დაკრედიტების პოლიტიკის გასაუმჯობესებლად. მათ შორის: 1) სესხის სტრუქტურის დახვეწა, რაშიც იგულისხმება მოქნილი გრაფიკებით და გრძელი ვადით ბიზნეს სესხების გაცემა, რადგან ბანკებისთვის მისაღებია მოკვეადიანი დაკრედიტებით სწრაფად შეძლონ გაცემული რესურსების დაბრუნება; 2) სესხის უზრუნველყოფის გამკაცრებული მოთხოვნების შერბილება და სახელმწიფო გარანტია როგორც სესხის უზრუნველყოფა - კომერციული ბანკები ყოველთვის ცდილობენ ხელსაყრელ პოზიციაში ყოფნას და შესაძლებლობის შემთხვევაში ყოველთვის ითხოვს მაქსიმალურ უზრუნველყოფას, რაც ჩემი აზრით არის შემაფერხებელი ფაქტორი მეწარმე სუბიექტისთვის, ასევე მიმაჩნია რომ სახელმწიფოს ჩართულობით და ბიზნეს

სესხზე გარანტორად დადგომით მნიშვნელოვდა შეუწყობს ხელს ბიზნეს დაკრედიტების განვითარებას; 3) Sturt Up სესხების გაცემა - დღესდღეობით კომერციული ბანკები თავს იკავებენ Sturt Up სესხების გაცემისგან, რადგან სტანდარტული სესხებისგან შედარებით უფრო მაღალრისკიანია, თუმცა დამწყები ბიზნესის დაფინანსებით მნიშვნელოვნად გაიზრდება დაკრედიტების ბაზარი, გაიზრდება მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესში ჩადებული ინვესტიცია, რაც საბოლოოდ დადებით აისახება ბიზნესის განვითარებაზე.

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომში შედგება 3 თავისა და 9 ქვეთავისგან, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან. პირველ თავში განხილულია კომერციული ბანკების მნიშვნელობა და როლი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში, მეორე თავში განხილულია კრედიტის როლი მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებაში და დაკრედიტების პრობლემები, მესამე თავში განხილულია საქართველოს საკრედიტო სისტემა და საკრედიტო პოლიტიკა მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების საქმეში, ეკონომიკური კრიზისის გავლენა ბიზნესზე.

თავი პირველი. კომერციული ბანკები - მათი მნიშვნელობა და როლი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში

1.1 კომერციული ბანკების არსი და ფუნქციები

ბანკის ცნების უამრავი განმარტება არსებობს, თუმცა ყველა მათგანი ერთიდაიგივე შინაარსის მატარებელია, ისინი აფასებენ ბანკის საქმიანობას მათ მიერ განხორციელებული ოპერაციებიდან გამომდინარე, რომელთა როლიც ეკონომიკის განვითარებაში ძალზედ მნიშვნელოვანია. ფულადი რესურსების გადაადგილება, რომლებიც რაღაც პერიოდის განმავლობაში ერთეულების ხელში იმყოფება და მის დაბანდება-გამოყენებას სხვებისგან მოითხოვენ, კომერციული ბანკების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს. მოცემულ სიტუაციაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ ერთ შუამავალს გააჩნია რესურსების განსაზღვრული ნაწილი და გარკვეული გარანტიების არსებობის პირობებში და გარკვეული გარანტიებით კონკრეტული ვადით, გასცეს ეს რესურსი სხვა კონტრაგენტზე. კრედიტორის ინტერესები უნდა ემთხვეოდეს მსესხებლის (სესხის ამღების) ინტერესებს, რათა შედგენს გარიგება. თანამედროვე ფულად მეურნეობაში ინტერესთა ასეთი დამთხვევა შემთხვევითია. მაკონსოლიდირებელ რგოლად, აქ გამოდის შუამავალი კომერციული ბანკი. ფინანსური რესურსების აკუმულირებით, კომერციულ ბანკებს ეძლევათ შესაძლებლობა დააკმაყოფილონ სრულიად სხვადასხვანარი მსესხებელთა ინტერესები, მომხმარებლებს შესთავაზოს სხვადასხვა საკრედიტო პროდუქტები სხვადასხვა ვადით და საპროცენტო განაკვეთით.

ფულად-საკრედიტო ურთიერთობების ეტაპობრივმა განვითარებამ ხელი შეუწყო კომერციული ბანკების წარმოშობა. ისტორიულად, პირველი საკრედიტო ურთიერთობები კრედიტორსა და მსესხებლებს შორის უშუალო ურთიერთობა წარმოადგენდა, როდესაც გარიგება ხორციელდებოდა კრედიტორსა და ინვესტიციის მიმღებს შორის სხვა მესამე პიროს ჩარევის გარეშე, მაგრამ სამეწარმეო საქმიანობის განვითარებასთან ერთად, გამძაფრდა მსესხებეს და გამსესხებელს შორის ურთიერთობა.

ისტორიული წყაროების მიხედვით არ არის დადასტურებული ფაქტი თუ სად გაჩნდნენ ბანკები თავდაპირველად. მრავალი მეცნიერის აზრით, ბანკები კაპიტალიზმის პირობებში აღმოცენდა. ისინი თავდაპირველად მე-14 და მე-15

საუკუნეებში იტალიის ზოგიერთ ქალაქში გაჩნდნენ. ამ დაწესებულებების მეშვეობით ხორციელდებოდა ფართმასშტაბიანი საკრედიტო ოპერაციები და ხდებოდა ფულადი სახსრების მიმოქცევის რეგულირება. არსებობს მეცნიერთა სხვა ჯგუფი, რომლებსაც მიაჩნიათ რომ ბანკები უფრო ადრე – ფეოდალიზმის დროს გაჩნდნენ. მათი აზრით, ანტიკური და ფეოდალური მეორნეობის დროს წარმოიშვა მოთხოვნილება ბანკების, როგორც გადახდებში შუამავლის ფუნქციაზე. ფეოდალიზმის დაშლის ეპოქაში მე-17- მე-18 საუკუნეებში ფულის გაუფასურების წინააღმდეგ, საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენლება ახალი ნაბიჯი გადადგეს მტკიცე ფულისთვის ბრძოლაში და შექმნა საანგარიშგებო ინსტიტუტები “ჟიროკასების” სახით. მაშინდელ ვაჭრებს შეჰქონდათ დანაზოგები ბანკში, რომლებიც აისახებოდა მათ ანგარიშებზე, როგორც საანგარიშწორებო ფულადი ერთეულები. მონეტარულ უწყსრიგობასთან შებრძოლება და გადახდის უფრო მოხერხებული შესაძლებლობების შექმნა იმათთვის ვისაც ფული უნდა გაეშვა ბრუნვაში, წარმოადგენდა ბანკის ძირითად მიზანს. ძველი ბანკების საკრედიტო ოპერაციებთან ერთად თანდათან განვითარდა მეანაბრეთა მომსახურებაც. ანგარიშსწორებას ე.წ. ტრანსფერტის მეშვეობით ახდენდნენ, ანუ ფულადი სახსრები ერთი ცხრილდან გადაქონდათ მეორეზე. დროთა განმავლობაში ბანკების და საბაკო ოპერაციების დაიხვეწამ მიიღო ისეთი სახე, როგორიც დღეს აქვს.

დღესდღეობით საქართველოში, ორიარუსინი საბანკო სისტემის ფუნქციონირებაში მთავარ როლს კომერციული ბანკები არულებენ. ანსხვაგვებენ უნივერსალურ და სპეციალურ ბანკებს. უნივერსალური ბანკი ყველა სახის საბანკო ოპერაციას ასრულებს – დაკრედიტებასთან დაკავშირებულ ოპერაციებს, ფასიან ქაღალდების ვაჭრობასთან დაკავშირებულ ოპერაციებს, ანაბრებთან დაკავშირებულ ოპერაციებს და ზოგადად ყველანაირ საბანკო მომსახურების გაწევას. სპეციალური ბანკი კი პირიქით, სპეციალიზდება ერთ ან რამდენიმე საქმიანობაში. საბანკო სისტემის ფუნქციონირების თანამედროვე პრაქტიკაში ფართოდ არის გავრცელებული უნივერსალური ბანკები, რადგანაც შესაძლებელია კონკურენციული გარემოს პირობებში ერთი ან რამოდენიმე სპეციალური ოპერაციის განმახორციელებელი ბანკი ადვილად გაკოტრდეს, ამიტომ ბანკების უნივერსალიზაცია უფრო სტაბილური და მომგებიანია.

დღეისათვის თანამედროვე ეპოქის კომერციული ბანკები ახორციელებენ სხვადასხვა მომსახურებას. მაგალითად:

- ❖ დაკრედიტება, რომელშიც ტრადიციულად სესხის გაცემასთან ერთად გვხვდება საშუამავლო, საკომისიო ოპერაციები: გარანტია, ფაქტორინგი, ლიზინგი,;

- ❖ საანგარიშსწორებო ანუ საკასო მომსახურებას, აქ იგულისხმება უნაღდო ანგარიშსწორება და ნაღდი ფულის მიღებასა და გაცემასთან დაკავშირებული ოპერაციები;
- ❖ საშემნახველო (დეპოზიტურ) მომსახურებას, რომელიც გულისხმობს ვადიანი, უვადო ან საშემნახველო ანაზრების მიღებას;
- ❖ სატრასტო მომსახურება, როდესაც კომერციული ბანკები იღებენ პასუხისმგებლობას ფიზიკური ან იურიდიული პირის ქონების მართვასთან დაკავშირებით;
- ❖ საგარეო-ეკონომიკური და სავალუტო მომსახურებასთან დაკავშირებული საქმიანობა;
- ❖ საინვესტიციო მომსახურება, რომლის დროსაც კლიენტს საშუალება ეძლევა ივაჭროს ფასიანი ქაღალდებით;
- ❖ საკონსულტაციო მომსახურებას.

კომერციული ბანკების დანიშნულება გამოიხატება თავიანთი ფუნქციების შესრულების დახმარებით. მისი ფუნქციები განსაზღვრავენ მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიებს. კომერციული ბანკების უფრო სწრაფი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მათი ფუნქციები ატარებდნენ განვითარების თანმიმდევრულ ხასიათს. კომერციული ბანკის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია არის სააკუმულაციო-გამანაწილებელი ფუნქცია. კომერციული ბანკების საქმიანობის ერთ-ერთ უძველეს მიმართულებას, ფულად სახსრების აკუმულაცია, შენახვა და განაწილება წარმოადგენს. აღნიშნულთან დაკავშირებით ძალზედ მნიშვნელოვანია ის მომენტი, როდესაც ფულადი რესურსების თავმოყრა ხორციელდება ძირითადად სხვების თავისუფალი სახსრების ხარჯზე, ხოლო განაწილება ხორციელდება არა საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე, არამედ სხვების მიზნებიდან გამომდინარე (მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება საზოგადოების მოთხოვნილებები) მისი დახმარებით ბანკები ქმნიან თავიანთი საქმიანობის საფუძვლებს, რომელიც შემდგომში მისი ზრდის წყაროს წარმოადგენს. ამ ფუნქციის ფარგლებში კომერციული ბანკები აფართოებენ თავიანთ ზეგავლენას, ახალ „ნიშებს“ პოულობენ ბაზრის ახალი სეგმენტის დასაპყრობად, რათა მათი მომხმარებელთა წრე მუდმივად მზარდი იყოს.

ბანკების შემდეგი ფუნქციაა ბრუნვის უზრუნველყოფის ფუნქცია. უნდა აღვნიშნოთ ბრუნვის, როგორც უზრუნველყოფის ფუნქცია, რომელიც რეალიზდება საწარმოთა საბრუნავი საშუალებების მომსახურებაში მოკლევადიანი დაკრედიტების მეშვეობით, ქონებათა გადანაწილებითა და მართვით. კომერციული ბანკის ბრუნვის

უზრუნველყოფი ფუნქცია თანამედროვე პერიოდში მოწოდებულია უზრუნველყოს რესურსები და შესაძლებლობები სამრეწველო საწარმოების განვითარებისათვის, მათი ეკონომიკური ზრდისათვის. კრედიტების დანიშნულებათა შეფასების ანალიზი კომერციულ ბანკებში საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ ეს ფუნქცია, როგორც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი მექანიზმი. კრედიტების ძირითადი ნაწილი ძირითადად მიმართლია საბრუნავი საშუალებების ბრუნვის ანაზღაურებაზე, სახელფასო დანახარჯების გასტუმრებაზე, კრედიტორული დავალიანების დაფარვაზე, ასევე ადრე აღებული საკრედიტო ვალდებულებების დაბრუნებაზე. აქ ბანკისათვის გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს კომპანიის ფინანსური რესურსების ბრუნვის რეალური შეფასება. აღნიშნულ ფუნქციას ავტომატურად ებმის **საინვესტიციო ფუნქცია**. იგი განხილული უნდა იქნას როგორც კაპიტალური დაბანდება, რომლის მიზანია უზრუნველყოს კომპანიის კაპიტალის შენარჩუნება.

აქედან გამომდინარე, კომერციული ბანკების მიზანს, საინვესტიციო მიმართლებით წარმოადგენს საკუთარი ფულადი რესურსების დივერსიფიკაცია, შენარჩუნება და ლიკვიდურობის უზრუნველყოფა. რესურსების განთავსების სხვა მიმართლებებისგან განსხვავებით, ინვესტიციების როგორც ფულადი სახსრების დაბანდება არ არის მიმართლი მოკლევადიან პერიოდში მოგების მისაღებად, ის მიმართლია მომავალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის. საინვესტიციო პორტფელის ფორმირება ხორციელდება თანდათანობით და რესურსების განთავსება ხდება ფინანსური ბაზრის სხვადასხვა საინვესტიციო ინსტრუმენტში, რაც ბანკს მოგების შემცირების რისკის პრევენციის საშუალებას აძლევს. საინვესტიციო პორტფელში მნიშვნელოვანია შეტანილი იქნეს ფინანსური ბაზრის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ ისეთ მახასიათებლებს როგორც არის რისკი, შემოსავლიანობა, ღირებულების ზრდა და მიმდინარე შემოსავალი.

საინვესტიციო ფუნქციების მეშვეობით განსაკუთრებით იზრდება კომერციული ბანკების გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე, მრეწველობაზე, რომელიც ხორციელდება ბანკების მონაწილეობის მეშვეობით საწარმოთა კაპიტალში, საბანკო მანდატების ფლობით სამეთვალყურეო საბჭოებში, რაც უზრუნველყოფს ბანკის უფრო მეტ დაინტერესებას ამ სექტორის განვითარების თვალსაზრისით.

ზემოთ აღნიშნულ ფუნქციებთან მჭიდროდ დაკავშირებულია კომერციული ბანკის **საინფორმაციო ფუნქციაც**. იქიდან გამომდინარე, რომ თავისუფალი ფულადი სახსრების შეგროვება და მოძრაობა შეიცავს ინფორმაციას სახსრების რაოდენობის, ღირებულების ნაკადების შესახებ, რომლებიც მატერიალურ წარმოებაში იქმნება. ამ

ნაკადების ანალიზი გვაიძულებს გავაანალიზოთ და დავაპროგნოზოთ მატერიალური წარმოების და საბოლოო ჯამში ფინანსური რესურსების განვითარების ხარისხი. ამ ფუნქციის წარმოშობა კომერციული ბანკის წარმოშობის თარიღს არ უკავშირდება, იგი ყალიბდებოდა თანდათანობით, საკრედიტო ურთიერთობების განვითარების ფონზე. საინფორმაციო ფუნქციის განვითარებით კომერციული ბანკები ბანკები იძულებულნი ხდებიან დახვეწონ და განავითარონ მათ მომსახურება, კერძოდ შეცვალონ საანგარიშო მომსახურების პირობები, ინოვაციური და ეფექტური ხერხებით აწარმოონ კონტაქტები არსებულ და ახალ კლიენტებთან, შესთავაზონ დაკრედიტებისა ინოვაციური მეთოდები, ხელფასის ანაზღაურების განახლებული სქემები და სხვა. თანამედროვე პერიოდში, კლიენტი საკმაოდ ინფორმირებულია საბანკო სექტორში არსებული სერვისების მიწოდებაზე, რაც მას არჩევანის საშუალებას აძლევს, შეარჩიოს მისთვის სასურველი ბანკი, საბანკო ბაზარზე არსებული კონკურენციის პირობებში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვან ფუნქციას მარეგულირებელი ფუნქცია წარმოადგენს. თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში, კომერციული ბანკები ეკონომიკის რეგულირების უმნიშვნელოვანეს მექანიზმს წარმოადგენენ, მათ მეშვეობით შესაძლებელია ზეგავლენის მოხდენა ეკონომიკაზე, მათი პრიციპების, მეთოდების, ფუნქციების და ოპერაციების გამოყენებით და მოხდეს საინვესტიციო აქტიურობის ამაღლება. კომერციული ბანკებისთვის ფასიანი ქაღალდების ბაზარი მნიშვნელოვანი ფუნქციის ელემენტია, რომელიც განსაკუთრებულ როლს თამაშობს მის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. აღსანიშნავია რომ, მისი მეშვეობით ხდება კაპიტალის განაწილება დარგებსა და რეგიონებს შორის. ამასთან კაპიტალი მოძრაობს ხორციელდება დაბალშემოსავლიანი სფეროებიდან მაღალშემოსავლიან სფეროებში, რაც ცხადია დამატებით სტიმულს აძლევს ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდას. ამრიგად მნიშვნელოვანია, რომ კომერციული ბანკები ქმნიდნენ ხელსაყრელ პირობებს ეკონომიკური ზრდისათვის, რაც მათი წარმატებული ფუნქციონირებისთვისაც მნიშვნელოვანია.

1.2 კომერციული ბანკების განვითარება და საბანკო სესხების დინამიკა საქართველოში

საქართველო გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე ყოველთვის იყო მსოფლიო სავაჭრო გზებს შორის, რაც მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენდა

საკრედიტო ურთიერთობების წარმოშობისათვის. ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნით თარიღდება პირველი ქართული მონეტა. ვითარდებოდა და იხვეწებოდა სავაჭრო და ფულად-საკრედიტო ურთიერთობები. ილია ჭავჭავაძის თაოსნობით, პირველი ქართული ბანკი საქართველოში 1875 წლის 28 ივნისს თბილისში, შემდეგ კი ქუთაისში 1876 წელს ნიკო ლოლობერიძის თაოსნობით.


დღევანდელმა ქართულმა საბანკო სისტემამ არსებობა 1991 წელს დაიწყო. პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანაში შესაძლებელი გახდა საბანკო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირება. უამრავი პრობლემის წინაშე მდგარი ქვეყნისთვის ერთ-ერთი ყველაზე რთულ და მნიშვნელოვან საკითხს მძლავრი, კონკურენტუნარიანი, მოქნილი და საიმედო საბანკო სისტემის შექმნა წარმოადგენდა, რადგან ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში დამოუკიდებელ და სტაბილურ საბანკო სისტემას მნიშვნელოვანი როლი აკისრია. სწორედ ამიტომ საბანკო სფერო სერიოზულ ყურადღებას და მხარდაჭერას მოითხოვდა, რადგან მას არ შეაფერხებინა ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის პროცესი და ეროვნული მეურნეობების განვითარება. 1991 წლის აგვისტოსში მიღებულმა ოპერატიულმა კანონმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ორიარუსიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბებას და განსაზღვრა, თუ ვის და როგორ უნდა განეხორციელებინა ფულად-საკრედიტო ურთიერთობების რეგულირება და რა როლი უნდა ეთამაშა ამ მიმართულებით ცენტრალურ ბანკს. „საქართველოს ეროვნული ბანკი“ ეწოდა ქვეყნის ცენტრალურ ბანკს შექმნის პირველივე დღეებიდან და იგი დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ-ეკონომიკურ ინსტიტუტს წარმოადგენს. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაფუძნების დღიდან დაიწყო საბანკო ლიცენზიების გაცემა და რამდენადაც პარადოქსული არ უნდა იყოს 1993 წლისათვის საქართველოში 250-მდე კომერციული ბანკი იყო რეგისტრირებული, მაშნ საბანკო ლიცენზია სულ რაღაც 500 აშშ დოლარი ღირდა.

საქართველოში საბანკო სექტორის განვითარება რთული და წინააღმდეგობრივი მოვლენებით ხასიათდება, მხედველობაში გვაქვს, საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი რეფორმების მიმდინარეობის პროცესში, ნელი ტემპით, მაგრამ სულ უფრო მეტად ხდებოდა მართვის საბაზრო მექანიზმების წარმოშობა და მეწარმეებისა და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის საბაზრო ურთიერთობების პროცესში ჩართვა.

რაც შეეხება ზოგადად საქართველოს საბანკო სისტემას, შეიძლება ითქვას რომ დღესდღეობით ერთ-ერთი წარმატებული ბიზნეს სექტორია საქართველოში.

გრაფიკი 1.2.1-ში მოცემულია ბანკების წლიური მოგების ტრენდი, სადაც ნათლად ჩანს რომ მოგება ყოველწლიურად იზრდება, განსაკუთრებულად მაღალია 2018 წელს წმინდა მოგება 2015 წლის მაჩვენებელთან შედარებით, კერძოდ 70%-ით არის გაზრდილი¹.

გრაფიკი 1.2.1. კომერციული ბანკების წმინდა მოგების დინამიკა 2010-2019 წლები - საქართველოს ეროვნული ბანკი.




კომერციული ბანკების წმინდა მოგება ბანკების სხვადასხვა საქმიანობიდან მიღებული მოგებების ჯამს წარმოადგენს, სადაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სესხებზე დარიცხული პროცენტებიდან მიღებული შემოსავლებია. 2018 წელს ბანკების საპროცენტო შემოსავლებმა 328,5 მლნ ლარი შეადგინა რაც 3 წლის წინანდენ მაჩვენებელს 49 %-ით აღემატება. თუ 2010-2019 წლებში ბანკების წმინდა მოგების დინამიკას გადავხედავთ ნათელი ხდება, რომ 2010-2013 წლებში ტრენდი საკმაოდ არაერთგვაროვანია, ხოლო 2013 წლიდან 2018 წლამდე დინამიკა ზრდადი ტრენდით ხასიათდება, რაც შეეხება 2019 წლის წმინდა მოგება დაახლოებით 19%-ით ნაკლებია წინა წლის მოგებასთან შედარებით, რაც განაპირობა საქართველოს ეროვნული ბანკის შემზღვეველმა მონეტარულმა პოლიტიკამ, რომლის მიხედვით კომერციულ ბანკებს დაუდგინდათ ისეთ რეგულაციები, რომლის მიხედვითაც შეუძლებელი გახდა სესხის გაცემა შემოსავლების დადასტურების გარეშე და სხვა რეგულაციები რომლებსაც მოგვიანებით დავუბრუნდებით. გრაფიკი 1.2.1-ის მიხედვით ნათლად

¹ საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები - კომერციული ბანკების საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები

ჩანს რომ 2012 წელს კომერციული ბანკების მოგება ყველაზე დაბალია ბოლო ათწლეულის განმავლობაში, უფრო მეტიც 2012 წლის იანვრის თვეში საბანკო სექტორმა 7 მლნ ლარი შეადგინა. თუმცა 2013 წელს მოგება წინა წელთან შედარებით თითქმის სამჯერ გაიზარდა და ზრდადი ტენდენციით წავიდა. ხოლო რეკორდი საბანკო სექტორმა 2018 წელს დაამყარა 914,7 მლნ ლარი წმინდა მოგებით. წმინდა მოგების ზრდა საკრედიტო პორტფელის ზრდაზე პირდაპირპროპორციულად არის დამოკიდებული.

გრაფიკი 1.2.2. კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის დინამიკა (ვალუტების მიხედვით) 2014-2019 წლები - საქართველოს ეროვნული ბანკი.




2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელი 26,298 მლნ ლარს შეადგენდა, რაც 2015 წლის მონაცემთან შედარებით თითქმის 65,5%-ით არის გაზრდილი². პორტფელის ზრდა გამოწვეულია როგორც უცხოური ვალუტაში გაცემული სესხების ზრდით, ასევე ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების ზრდითაც. აღსანიშნავია ის რომ თუ 2015 წლის დეკემბრის მონაცემების მიხედვით მთლიანი პორტფელის 35%-ს შეადგენდა ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობა, რაც იმას ნიშნავს რომ ქვეყანაში შეინიშნება ე.წ. „დოლარიზაციის“ მაღალი ნიშნული და 2015 წლამდე პერიოდშიც ზრდადი ტრენდი ჰქონდა, რაც შეეხება 2018 წლის მონაცემებს მთლიანი პორტფელის დაახლოებით 43%-ს შეადგენს ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობა, რაც ექსპერტების ვარაუდით: განაპირობა ეროვნული ბანკის მიერ გატარებულმა ე.წ.

² საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები - კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების დავალიანების მოცულობა და სტრუქტურა

„ლარიზაციის“ პოლიტიკამ, ასევე აღნიშნული მაჩვენებელი მცირედით 44%-მდეა გაზრდილი 2019 წელს. უნდა აღინიშნოს ასევე ისიც რომ 2019 წლის დეკემბერში საკრედიტო პორტფელის მოცულობამ ახალ რეკორდულ ნიშნულამდე მიაღწია 31 მლრდ ლარს გადააჭარბა. უნდა აღინიშნოს ასევე ისიც, რომ მიუხედავად ლარიზაციის პოლიტიკისა, მნიშვნელოვნად იზრდება უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების პორტფელიც, აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ რომ მიუხედავად ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ლარიზაციის პოლიტიკისა, ქვეყანაში მაღალია მოთხოვნა სესხებზე უცხოურ ვალუტაში, რაც შესაძლებელია განპირობებული იყოს როგორც დაბალი საპროცენტო განაკვეთებით უცხოურ ვალუტაში გასაცემ სესხებზე, ასევე იმპორტიორი კომპანიების სხვადასხვა სტიმულებზე, მაგალითად იმპორტიორი კომპანია თანხას იხდის უცხოურ ვალუტაში და შესაბამისად სესხსაც იღებს უცხოურ ვალუტაში და ამით აზღვევს ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ შესაძლო ზარალზე.


გრაფიკი 1.2.3. პრობლემური სესხების წილი მთლიან პორტფელში 2015-2019 წლების კვარტლების მიხედვით - საქართველოს ეროვნული ბანკი.



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკრედიტო პორტფელის ზრდას შესაძლებელია უარყოფითი მხარეც ჰქონდეს, კერძოდ იზრდება სესხების გაპრობლემების რისკიც. პორტფელის ზრდა განპირობებულია კომერციული ბანკების აგრესიული გაყიდვებით. შეიძლება ითქვას რომ ხშირად ბანკები გაყიდვების სტიმულირებისთვის სხვა მრავალ ხერხთან ერთად არბილებენ საკრედიტო მოთხოვნებს რაც თავის მხრივ გულისხმობს რისკიანი სესხების გაცემას. თუმცა ჩვენი

ქვეყნის რეალობას თუ შევხედავით პორტფელის ზრდასა და პრობლემურის სესხების მოცულობას შორის არის უკუპროპორციული კავშირი, კერძოდ საკრედიტო პორტფელის ზრდასთან ერთად მცირდება პრობლემური სესხების წილი მთლიან პორტფელში. გრაფიკის მიხედვით პრობლემური სესხების წილი მთლიან პორტფელში მაქსიმალური ნიშნული 2016 წლის მესამე კვარტლის ბოლოს დაფიქსირდა და 2,54% შეადგინა, როდესაც საკრედიტო პორტფელის მოცულობა 16,5 მლრდ ლარს შეადგენდა და პრობლემური პორტფელის მოცულობა 421 მლნ ლარზე მეტია, ხოლო მინიმალური ნიშნული 2019 წლის მეოთხე კვარტლის ბოლოს დაფიქსირდა 1,56%-ით, როდესაც საკრედიტო პორტფელის მოცულობა 31,6 მლრდ ლარზე მეტია და პრობლემური პორტფელის მოცულობა 492 მლნ ლარია. მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ რომ საქართველოში საბანკო ბიზნესი სწორად ვითარდება, ახორციელებს სწორ დაკრედიტებას.

გრაფიკი 1.2.4. ვალუტების მიხედვით პრობლემური სესხების წილი მთლიან პრობლემურ პორტფელში 2015-2019 წლების კვარტლების მიხედვით - საქართველოს ეროვნული ბანკი.



რაც შეეხება იმას, თუ რომელ ვალუტაშია უფრო მეტი ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა, ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ რომ უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობა აღემატება ეროვნულ ვალუტაში გაცემული გაპრობლემებული სესხების მოცულობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიულად, ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხის შემთხვევაში ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა ყოველთვის ნაკლები იყო უცხოურ ვალუტაში არსებულ ვადაგადაცილებულ

სესხების მოცულობაზე, გარდა 2018 წლის მესამე კვარტლის მიწურულისა, როდესაც ეროვნულ ვალუტაში პრობლემური სესხების წილმა მთლიან პრობლემურ პორტფელში 52%-ს გადააჭარბა, რაც მცირედით მაგრამ მაინც აღემატება უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხების პრობლემურ პორტფელს³.


სხვა დანარჩენ პერიოდში უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების პრობლემური პორტფელი ყოველთვის აღემატება ეროვნულ ვალუტაში გაცემულ პრობლემური სესხების მოცულობას. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სავალუტო რყევები მწვავე პრობლემას წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკისთვის.

რაც შეეხება დეპოზიტების მაჩვენებელს, ეროვნული ვალუტის გაუფასურება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. სტატისტიკურად როგორც დეპოზიტების ასევე კრედიტების პორტფელი ზრდადი ტრენდით გამოირჩეოდა და ეს ძირითადად გამოწვეული იყო ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების მოცულობის ზრდით. ლარის გაუფასურების შემდეგ კი ეს მდგომარეობა შეიცვალა. 2020 წლის 1 მარტის მდგომარეობით დეპოზიტების ჯამური მოცულობა 27,3 მლნ ლარს შეადგენს, საიდანაც ეროვნულ ვალუტაში 10,28 მლნ ლარი, ხოლო უცხოურ ვალუტაში კი 17.02 მლნ ლარია⁴. სტატისტიკურად დეპოზიტების მოცულობა ეროვნულ ვალუტაში ყოველთვის აღემატებოდა უცხოურ ვალუტაში არსებულ დეპოზიტების მოცულობაზე და 2020 წელს შეცვლილია თანაფარდობა სავალუტო პანიკითაა გამოწვეული, რაც ეროვნული ვალუტის გაუფასურებას მოჰყვა. დეპოზიტების მოცულობამ გადაინაცვლა უცხოურ ვალუტაში, ანუ პანიკის საფუძველზე დეპოზიტარების ნაწილმა საკუთარი ლარში არსებული ანაბრები გადაიტანეს უცხოურ ვალუტაში. აქვე უნდა აღინიშნოს რომ საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას დოლარიზაციის შემცირება წარმოადგენს, ამ მიმართლებით უამრავ ღონისძიებებს ატარებს საქართველოს ეროვნული ბანკი. დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებლის დამსახურებაა რომ ლარის დევალვაციამ დიდი პრობლემები შექმნა ეკონომიკაში. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ პრობლემების მიუხედავად საბანკო სექტორი მაინც ჩვეული ტემპით ვითარდება და სტაბილურობას იანრჩუნებს. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ დოლარიზაციის მაჩვენებელი ბოლო წლების განმავლობაში იკლებდა და ეროვნული ვალუტის დევალვაციამდე დაახლოებით 62% შეადგენდა.

³ საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები - კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების დავალიანების მოცულობა და სტრუქტურა

⁴ საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები - კომერციული ბანკების მიერ ეროვნული და უცხოური ვალუტით მოზიდული იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების მოცულობა და საპროცენტო განაკვეთები

გრაფიკი 1.2.4. დოლარიზაციის მაჩვენებელი 2015-2020 წლები - საქართველოს ეროვნული ბანკი.



მიუხედავად თავდაუზოგავი შრომისა და დოლარიზაციის კლებადი ტრენდისა, დოლარიზაციის მაჩვენებელი 62% საკმაოდ მაღალია, რაც სამწუხაროდ ლარის გაუფასურებით არის გამოწვეული. კლებადი ტრენდი დამატებითი სტიმულია იმისათვის რომ არ შეჩერდეს დოლარიზაციის მაჩვენებლის შემცირების მცდელობა.

თავი მეორე. კრედიტის როლი მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებაში და დაკრედიტების პრობლემები

2.1 მეწარმეობის არსი და მისი როლი ეკონომიკის განვითარებაში

ბიზნესი, რომელიც მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი მიმართულებაა, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს რგოლს წარმოადგენს. მეწარმეობა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარეობს, მეწარმე კი ამ სისტემის წამყვანი სუბიექტია. სიტყვა ბიზნესი ინგლისური ენიდან მომდინარეობს ხოლო მის სამშობლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს მოიაზრებენ. ეკონომიკურ ლიტერატურაში, მიუხედავად ბიზნესის უამრავი განმარტებისა, ბიზნესის მთავარ მამოძრავებელ პრინციპს მაქსიმალური მოგების მიღება წარმოადგენს.

ბიზნესმა ჩამოაყალიბებისა და განვითარების სხვადასხვა ეტაპები განვლო და ამჟამად გვევლინება როგორც პიროვნების თვითრეალიზაციისა და თვითდამკვიდრების საშუალებად, ამასთან იგი მეწარმეებისთვის ცოდნისა და მეწარმეობრივი უნარ-ჩვევების გამოვლენის და მაღალი შემოსავლების მიღების წყაროს წარმოადგენს. ასევე აღსანიშნავია ისიც რომ ბიზნესი ცვლის ადამიანის ცხოვრების წესს, ქცევებს, აზროვნებას და მენტალიტეტს.

ბიზნესი მარტივი განმარტებით გულისხმობს დამოუკიდებელ ეკონომიკურ საქმიანობას, რომლის დროსაც იწარმოება პროდუქცია ან ხდება მომსახურების გაწევა, მის მიზანს წარმოადგენს შემოსავლების (მოგების) მიღება. ბიზნესის კეთებია შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, როგორც საკუთარი, ისე ნასესხები კაპიტალით. მეწარმეები თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპების გათვალისწინებით ხშირად ცვლიან საწარმოო პოლიტიკას მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით.

ბიზნესის საშუალებით ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში შესაძლებელია სხვადასხვა სახეობის პროდუქციის და მომსახურების არსებობა, რაც უზრუნველყოფს კონკურენციის ზრდას და მაღალხარისხიანი პროდუქციის თუ მომსახურების არსებობას, საბოლოო ჯამში მაღალხარისხიანი პროდუქცია აისახება საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. გამოყოფენ ბიზნესის 4 ფორმას: მიკროს, მცირეს, საშუალოს და მსხვილ ბიზნესს, თუმცა თანამედროვე ეკონომიკაში გავრცელებულია ტრანსნაციონალური კომპანიები, რომელთა წარმოშობა განაპირობა

საეთაშორისო ანუ გლობალურმა ბიზნესმა. თუმცა თემის არსიდან გამომდინარე ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესი.

დღეისათვის არ არსებობს ერთიანი მოსაზრება საწარმოთა შესახებ, რომელიც განსაზღვრავს მათ კლასიფიკაციას. გამოიყოფა რაოდენობრივი და თვისობრივი კრიტერიუმები. რაოდენობრივ კრიტერიუმებში იგულისხმება: კომპანიაში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, წარმოებული პროდუქცია ან/და მომსახურება, კომპანიის წლიური ბრუნვა, საწარმოო კაპიტალი, საშუალო მოგება და ა.შ. ყველა ქვეყანა სხვადასხვაგვარად ახდენს მცირე საწარმოთა კლასიფიკაციას, მაგალითად: ევროკავშირის წევრი ქვეყნები მცირე საწარმოდ მიიჩნევენ ორგანიზაციას, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 50 ადამიანს, წლიური ბრუნვა მერყეობს 3-დან 4 მილიონ ევრომდე. საშუალო საწარმოდ ითვლება კომპანია, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა არის 50 ადამიანზე მეტი და არ აღემატება 250 ადამიანს, ხოლო წლიური ბრუნვა 12-დან 14 მილიონ შორის მერყეობს. ზოგიერთ ქვეყანაში, საწარმოთა კლასიფიკაცია ხორციელდება ეკონომიკის სხვადასხვა დარგების მიხედვით.

მცირე საწარმოების წარმოქმნის 3 მთავარი გზა არსებობს:

- ❖ დამოუკიდებელი წარმოშობა, რომელოც განპირობებულია შემოქმედებითად და აქტიურად მოაზროვნე ადამიანების ინიციატივაზე.
- ❖ სახელმწიფოს ან უფრო ხშირად კი სხვადასხვა საზოგადოებრივი ფონდების მხარდაჭერის საფუძველზე მცირე საწარმოთა წარმოქმნა და ფუნქციონირება, რაც უპირატესად ნაკარნახებია საზოგადოების დემოკრატიზაციის არსებობით.
- ❖ მსხვილი კორპორაციების მიერ მათ ეფექტიანობის ამალგების მიზნით მცირე საწარმოთა შექმნა.

საბაზრო ეკონომიკაში მცირე და საშუალო მეწარმეობის არსი მათ ფუნქციების საშუალები ვლინდება. ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოების ორგანიზება წარმოადგენს, რიმელიც გამოიყენება: ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად, სამოქმედო გეგმის ფორმირებისას, კომპანიის მართვისათვის, დაწესებული გეგმის კონტროლისა და სხვა მიზნებისთვის.


მცირე მეწარმეობა თანამედროვე კონკურენტული ბაზირის ჩამოყალიბების ხელშემწყობი ფაქტორია, მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება ბაზარზე იყო სხვადასხვა სახის პროდუქცია და მომსახურება და საწარმოები ერთმანეთს ეჯიბრებიან მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალურად ხარისხიანი პროდუქციის შექმნაში. მიუხედავად იმისა რომ მსხვილი ბიზნესების მიერ წარმოებული პროდუქცია

და მომსახურება რამდენჯერმე აღემატება მცირე საწარმოთა მიერ წარმოებულ პროდუქციას, მცირე ბიზნესი მაინც ახერხებს და ეკონომიკის გარკვეულ დარგებში წარმოდგენილია ლიდერ პოზიციებზე ასევე მცირე ბიზნესის განვითარებით მოდუნების საშუალება არ ეძლევათ მხვილ კომპანიებს, სწორედ ბაზრის ასეთი ფუნქციონირების დროს მიიღწევა მომხმარებელთა მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება.

ეკონომიკაში მცირე ბიზნესის მნიშვნელობის შეფასება უპირველეს ყოვლისა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე (მშპ, უმუშევრობის დონე, საბიუჯეტო შემოსავლები და ხარჯები, სავაჭრო ბალანსი და აშ.) მისი გავლენის დადგენაში უნდა გამოიხატებოდეს. ამერიკელი სპეციალისტების თვალსაზრისით მცირე ბიზნესის მნიშვნელობა ეკონომიკაში გამოიხატება: უმუშევრობის დონის შემცირებაში, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში, სპეციალიზებული საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფაში.

აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს უპირატესობებთან ერთად აქვს გააჩნია ნაკლოვანებებიც, მაგალითად:

გრაფიკი 2.1.1. რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა, ერთეული - საქართველოს სტატისკის ეროვნული სამსახური



❖ ამ ტიპის საწარმოებში მაღალია გაკოტრების მაჩვენებელი, თითქმის 50% მცირე საწარმოებისა იხურება მათი საქმიანობის დაწყებიდან პირველ ორ წელს, პრაქტიკამ აჩვენა რომ მცირე ბიზნესის მხოლოდ 15 %-ია წარმატებული. ქართულ რეალობაში ხშირია შემთხვევები როდესაც ადამიანები რომლებიც დაკავებულები არიან მცირე ბიზნესით, გადასახადების დამალვის მიზნით ხშირად აუქმებენ და აფუძნებენ ახალ კომპანიებს, ანუ შესაძლებელია ერთი სახეობის საქმიანობა

ხორციელდებოდა სხვადასხვა ფიქტიურად გახსნილი კომპანიებით, სწორედ ერთ-ერთი მიზეზიც სწორად ეს არის, თუ რატომ იზრდება ყოველწლიურად რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა.

- ❖ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის დამახასიათებელია რესურსების ნაკლებობა, როგორც საკუთარის ასევე მოზიდულის, რადგანაც ბანკები და საკრედიტო ორგანიზაციები დაფინანსების თვალსაზრისით უფრო მეტად ენდობიან მსხვილ და გამოცდილ კორპორაციებს;
- ❖ ფინანსური რესურსების სიმცირე განაპირობებს იმას, რომ ნაკლებად კონკურენტუნარიანები არიან, რაც გულისხმობს იმას, რომ მათ არ შეუძლიათ მრავალფეროვანი საქონელი აწარმოონ ბაზარზე. ჩამოთვლილი ნაკლოვანებები მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად აუცილებელია სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა ეკონომიკის ამ სექტორის განვითარებისთვის, სახელმწიფოს ჩართულობა მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდის უზრუნველყოფისათვის.

მცირე ბიზნესის განვითარების პროცეში მაღალგანვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მცირე საწარმოები წარმატებით ფუნქციონირებენ და წამყვან პოზიციებს ეკონომიკაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს მხრიდან შემუშავებულია მეწარმეობის მხარდაჭერის ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა და თანმიმდევრულად ხორციელდება იგი.

მცირე ბიზნესის, ისევე როგორც მთელი ბიზნესის ისტორია, გამოცდილება და თანამედროვე მდგომარეობა ნათლად ადასტურებს, რომ საბაზრო ურთიერთობების პირობებში ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი სფერო წარმატებით ვერ იფუნქციონირებს სახელმწიფოს მხრიდან აქტიური რეგულირების და მხარდაჭერის გარეშე. მცირე ბიზნესის განვითარება როგორც სახელმწიფო და საბაზრო მექანიზმებით რეგულირების სრულყოფას, საბანკო საკრედიტო, საინვესტიციო, საგადასახადო პრობლემის გადაწყვეტას, ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას და ა.შ.

მცირე ბიზნესისთვის მხარდაჭერა უნდა განვიხილოთ, როგორც სახელმწიფოს ერთ-ერთი ცენტრალური ფუნქცია. ამასთან გამოიყოფა ორი ძირითადი ფორმა: სახელმწიფომ სოციალ-ეკონომიკური რეგულირების მექანიზმებით უზრუნველყოს მცირე საწარმოების მომსახურება (რესურსების განაწილება, ფინანსური მხარდაჭერის და სხვათა გამოყენება), ე.ი უზრუნველყოს მცირე და საშუალო საწარმოების ფუნქციონირების ხელსაყრელი ეკონომიკური მომზადება. ამასთან ერთად, აუცილებელია ე.წ ორგანიზაციულ-მმართველობითი საწყისის ეფექტიანი

გამოყენებაც, რაც უკავშირდება მცირე ბიზნესის საქმიანობის დაგეგმვას, ორგანიზაციულ-ადმინისტრაციულ მოქმედებას, კონტროლს.

ზოგიერთი მეცნიერი გამოყოფს რამდენიმე გზას, რომლითაც შესაძლებელი გახდება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პრობლემის სრულად გაცნობიერება:

- ❖ მცირე და საშუალო საწარმოების სიდიდის განსაზღვრა და მცირე ბიზნესის განვითარების ძირითადი მიმართულებების დასაბუთება.
- ❖ უნდა განისაზღვროს მცირე საწარმოებისათვის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების შემუშავების პრინციპები. გამოიყოფა ადგილობრივი, რეგიონალური, ცენტრალური, სახელმწიფოთაშორისო პროგრამები.
- ❖ საგადასახადო ბეგარის განსაზღვრა ადგილობრივ და ფედერალურ დონეზე.
- ❖ განათლების ორგანიზაცია - მასში იგულისხმება მცირე ფირმების მართვის ეკონომიკური განათლება.
- ❖ გამოკვლევების ორგანიზაცია - იგულისხმება მცირე და საშუალო საწარმოების შესწავლა.

იმისათვის, რომ მცირე ბიზნესი სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა ეფექტიანი იყოს, საჭიროა იგი დაეფუძნოს მეცნიერულად დასაბუთებულ პრინციპებს, რომლებიც ადეკვატურად გამოხატავენ ეკონომიკის განვითარების მოცემული თავისებურებებს, ტენდენციებს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიზნის განსაზღვრას. იგი უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ეკონომიკის ამ სექტორის მიერ ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, სოციალური და სხვა ფუნქციების სრულად შესრულება. მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის მთავარ პრინციპად აღიარებული უნდა იქნას: პროტექციონიზმი, როცა იგი შეხამებულია საბაზრო თვითრეგულირების თავისუფლებასთან. მხარდაჭერის პროგრესული-მიზნობრივი ხასიათი; მხარდაჭერის გარანტია და სახელმწიფო ორგანოების პასუხისმგებლობა და ა.შ.


მსოფლიო სამეურნეო გამოცდილებით აღიარებულია, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მიზნების, პრინციპებისა და მიმართულებების დაფიქსირება ხდება შესაბამის სახელმწიფო პროგრამებში. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას თუ როგორია მცირე მეწარმეობის განვითარების საერთო პროგრამა, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. მასში განსაზღვრულია მცირე ბიზნესის განვითარების მიზანი, როლი, ფუნქციები, მიმართულებები. ასეთი პროგრამა უნდა დაედოს საფუძვლად პრიორიტეტების გათვალისწინებით ეკონომიკის დარგებსა და რეგიონებში მცირე ბიზნესის

განვითარების შესაბამისი პროგრამების შედგენას. აუცილებელი მოთხოვნები, რომლებიც უნდა დავიცვათ პროგრამების შედგენისას, შემდეგია: ეკონომიკის მდგომარეობის ობიექტური ანალიზი. პროგრამაში დეტალურადა უნდა იყოს განსაზღვრული მცირე ბიზნესის საგადასახადო, საკრედიტო და სხვა სახის შეღავათები, სახელმწიფო დაკვეთები, რომლებიც რესურსული უზრუნველყოფის და რეალიზაციის გარანტიას ქმნის. აუცილებელია ისეთ საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მასტიმულირებელ ფუნქციას შეასრულებს მეწარმეობის განვითარებისათვის.

მცირე ბიზნესის განვითარება საქართველოს ეკონომიკის შემთხვევაში დადებითად იმოქმედებს ეკონომიკის განვითარებაზე. თუ გადავხედავთ სტატისტიკურ მონაცემებს შეიძლება ითქვას რომ მცირე მეწარმეების რეგისტრირებულ რაოდენობის ზრდასთან ერთად(მიუხედავად იმისა რომ ნავარაუდევია ციფრების ზრდა ფიქტიურად დაფუძნებული კომპანიის ხარჯზე) იზრდება შემოსავლების წილი მთლიან ეკონომიკაში.

2.1.2 გრაფიკიდან ჩანს რომ საშუალოდ რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა 6 %-ით იზრდება ყოველწლიურად და შემოსავლების მოცულობის ზრდის მაჩვენებელი საშალოდ 14.7%-ია.


გრაფიკი 2.1.2. რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობის და შემოსავლების დამოკიდებულების გრაფიკი - საქართველოს სტატისკის ეროვნული სამსახური(2014-2018 წლები)



ანალოგიურად დადებითად აისახება საწარმოთა რაოდენობის ზრდა დასაქმებულ ადამიანების ზრდასთან ერთად, ყოველწლიურად რეგისტრირებულ საწარმოთა

რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდება დასაქმებულთა რაოდენობა (იხ. გრაფიკი 2.1.3.)

გრაფიკი 2.1.2. რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობის და დასაქმების დამოკიდებულების გრაფიკი - საქართველოს სტატისკის ეროვნული სამსახური(2014-2018 წლები)



2018 წლის მონაცემების მიხედვით მცირე ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობა 734 215 ადამიანს შეადგენს, რაც ამავე წლის მონაცემების მიხედვით მთლიანი დასაქმებული ადამიანების რაოდენობის(1 694 000 კაცი) 43%-ს აღემატება⁵.

საბოლოოდ რომ შევაჯამოთ, შეიძლება ითქვას რომ მცირე ბიზნესის განვითარებას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი აქვს ეკონომიკის და მით უმეტეს ქართული ეკონომიკის განვითარებაში, როგორც ავლნიშნეთ მცირე ბიზნესის განვითარებასთან ერთად იზრდება შემოსავლების მოცულობა ეკონომიკაში, იზრდება დასაქმებულთა რაოდენობა, გარდა ამისა მცირე ბიზნესის განვითარება ხელს უწყობს კონკურენციის ზრდაც, რაც თავის მხრივ დადებითად მოქმედებს წარმოებული პროდუქციის ხარისხსა და ფასზე, ასევე დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების მაჩვენებელზე, ამის მაგალითად შეიძლება გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის მაგალითი, კერძოდ 2014 წელს მცირე ბიზნესში დასაქმებულთა საშუალო შრომის ანაზღაურება იყო 800 ლარი, ხოლო 2018 წელს აღნიშნული მონაცემი გაზდრილია 37.5%-ით, 1100 ლარამდე⁶.

⁵ საქართველოს სტატისკის ეროვნული სამსახური - დასაქმება და უმუშევრობა

⁶ საქართველოს სტატისკის ეროვნული სამსახური - „ბიზნეს სექტორი საქართველოში 2019“

2.2 კრედიტის როლი მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებაში

საკრედიტო სისტემა წარმოადგენს ფინანსური და საკრედიტო დაწესებულებათა კომპლექსს, რომლებსაც სახელმწიფო იყენებს ეკონომიკის განვითარებისათვის. იგი მონაწილეობს ზოგადად საზოგადოების და სამეურნეო საქმიანობის პროცესში იღებს მონაწილეობას, რადგან უზრუნველყოფს თავიუფალი ფულადი რესურსების მობილიზაციას და მათ დაბანდებას ბიზნეს საქმიანობაში. თანამედროვე საბანკო სისტემა სხვადასხვა რგოლისაგან შედგება, ისინი თავიანთ სპეციფიკურ ფუნქციებს ასრულებენ ფულადი რესურსების აკუმულაციასა და განაწილების პროცესში.

თანამედროვე საბანკო სისტემა მოიცავს სამ ჯგუფის ძირითად საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებს:

1. ცენტრალური (ეროვნული) ბანკი;
2. საბანკო სექტორი (კომერციული ბანკები);
3. სპეციალური არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები

ცენტრალურ ბანკს მთავარი მარეგულირებელი ადგილი უკავია საბანკო სისტემაში. იგი, როგორც წესი, მთავრობისგან დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტია, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის მაკროეკონომიკურ რეგულირებას სხვა სახელმწიფო-ეკონომიკურ ინსტიტუტებთან ერთად.

საბანკო სექტორში შედის: კომერციული ბანკები, რომლებიც საკრედიტო სისტემის მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენენ. ისინი ახორციელებენ თითქმის ყველა სახის საბანკო ოპერაციებს. მათ ისტორიულად ჩამოყალიბებული ფუნქციებია: ანაბრების მიღება, ბიზნეს დაკრედიტება, ანგარიშწორების განხორციელება და სხვ.

შემნახველი ბანკების ძირითად საქმიანობას როგორც წესი, ანაბრების მიღება წარმოადგენს. მათი აქტიური ოპერაციები მოიცავს იპოთეკური და სამომხმარებლო დაკრედიტებას, ასევე სახელმწიფო და კერძო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა, საკრედიტო ბარათების გამოშვება და სხვა. შემნახველი ბანკები ძირითადად სახელმწიფოს კონტროლირებადი ორგანიზაციებია და ხშირ შემთხვევაში მათ მესაკუთრედ არის წარმოდგენილი.

მცირე და საშუალო საწარმოების ფუნქციონირების ასეთ რთულ ეტაპზე განსაკუთრებით დიდია ბიზნეს სესხების როლი. მცირე საწარმოებს მსხვილი საწარმოებისგან განსხვავებით ნაკლებად შეუძლიათ აქციების და ობლიგაციების

გამოშვებით რესურსების მოძიება, მათ ძირითადი ფულადი რესურსების წყაროს წარმოადგენენ კომერციული ბანკები. ასევე მსხვილი საწარმოსგან განსხვავებით მცირე საწარმოებს უფრო მეტად და ხშირად ესაჭიროებათ საოპერაციო კაპიტალის ზრდა რადგან მსხვილ საწარმოებთან შეადარებით მათ მცირე აქტივები გააჩნიათ. სწორედ ამიტომ ბიზნეს სესხიების საშუალებით მცირე საწარმოები ახდენენ მათ მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას.

2.3 კომერციული ბანკის როლი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში და დაკრედიტების პრობლემები

კრედიტების მნიშვნელობის ზრდამ გამოიწვია კომერციული ბანკების ყურადღების ცენტრში მოქცევა, რადგან ისინი არიან ძირითადი საკრედიტო რესურსების მფლობელები. მართალია თანამედროვე ეკონომიკაში არსებობენ სხვა ფულადი რესურსების გამსესხებელი სუბიექტებიც, მაგალითად მიკრო-საკრედიტო ორგანიზაციები, ლომბარდე და თავად სახელმწიფოც, თუმცა მათი წილი მთიან ბაზარში ძალიან მცირეა და ვერ ახდენს გავლენას საერთო სურათზე. საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირება საერთო ეკონომიკის მდგრადობას და სტაბილურობას უზრუნველყოფს, სწორედ ამიტომ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკებში კომერციული ბანკები წამყვან რგოლს წარმოადგენენ.

დღესდღეობით საკრედიტო დაწესებულებები მათი მთავარი ფუნქციის შესრულების გამო თანამედროვე სამეურნეო ცხოვრების ცენტრში ექცევიან. თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულაციით და მათი ინვესტირებით ეკონომიკის მომგებიან დარგებში ხელი ეწყობა ეროვნული ეკონომიკის განვითარებას. მსოფლის წამყვანი ქვეყნებიც კი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად ნასესხებ აქტივებს იყენებენ და ამ პროცესში ბანკების როლი უმნიშვნელოვანესია.

საწარმოებისა და ორგანიზაციების დაკრედიტების სქემა ნათლად ასახავს კომერციული ბანკების როლს. ისინი გამოდიან ფინანსირი შუამავლები, მიუხედავად იმისა რომ მათი საქმიანობა გამორიცხავს მეანაბრეთა და მსესებელთა პირდაპირ კონტაქტებს. ისინი განსხვავებულ პროდუქტებს და მომსახურებას სთავაზობენ მეანაბრეებს და მათი თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულაციით ისინი უქმნიან ეკონომიკას განვითარების შესაძლებლობებს. სრულიად განახვავებული პროდუქტებით და მომსახურებით თავისუფალი ფულადი სახსრების გადაღინება

ხდება სამეწარმეო საქმიანობაში, რაც ერთიორად ზრდის წარმოების პროცესს. კომერციული ბანკების მომხმარებლები არიან როგორც ფიზიკური და იურიდიული პირები, ასევე სახელმწიფო ან სახელმწიფო ორგანიზაციები.

საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად იზრდება ბანკების ფუნქციებიც, თუ წარსულში კომერციული ბანკიც იყო მხოლოდ ბიზნესი და მის მიზანს წარმოადგენს მაქსიმალური მოგების მიღება, დღესდღეობით კომერციული ბანკები მოგების მიღებასთან ერთად სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებსაც ასრულებენ. თავისუფალი ფულადი რესურსების აკუმულაციით და ამ ფულის ეკონომიკაში ინვესტირებით, კომერციული ბანკები გამოდიან როგორც ეროვნული ეკონომიკების ფულადი რესურსების მომარებების მთავარ წყაროდ. ამრიგად გამოდის რომ კომერციული ბანკი არის ინსტიტუტი, რომლის საქმიანობიდან გამომდინარე ხდება მატერიალურ წარმოებაში დამზადებული დოვლათის მომხმარებლამდე მიყვანა. სწორედ ამიტომ ყოველდღიურად იზრდება ბანკის რომელი ეკონომიკის განვითარებაში.

საკრედიტო პროცესის ორგანიზებაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საბანკო კრედიტის ფასი. ფულადი სახსრები, წარმოდგენილია როგორც ვაჭრობის ობიექტი, რომელსაც თავისი ღირებულება ანუ საბანკო სარგებელი გააჩნია. აღნიშნული საგებელის განაკვეთი დამოკიდებულია დაკრედიტების პროცესში მონაწილე სუბიექტებზე. აევე უნდა აღნიშნოს რომ ძვირადღირებული ფულადი რესურსები აფერხებენ მცირე ბიზნესის განვითარებას და მეტიც ხშირ შემთხვევაში დამატებით წნებს წარმოადგენენ, რადგან მაღალ პროცენტში აღებული სესხი აიძულებს მეწარმეს გააძვიროს მის მიერ წარმოებული პროდუქცია და ამის გამო ხვდება არაკონკურენტუნარიან გარემოში.

უნივერსალური კომერციული ბანკების არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, რადგან მათი დახმარებით შესაძლებელი ხდება ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა. ასევე მნიშვნელოვანია იმ ბანკებისთვის რომლებიც სხვადასხვა ფინანსური ოპერაციებთან ერთად დაკავებულები არიან სამრეწველო საწარმოების დაფინანსებით. გონივრულად გამოყენებული და ინვესტირებული ფულადი რესურსები წარმოადგენენ კომერციული ბანკების შემოსავლის წყაროს.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ბიზნეს დაკრედიტებას თან ახლავს მთელი რიგი პრობლემები, კერძოდ ბიზნეს დაკრედიტების მასშტაბების სიმცირე, რომლიც თავის მხრივ გამოწვეულია ფულადი რესურსების სიმცირით და ზოგადად სექტორში არსებული არასახარბიელო მდგომარეობით. კერძოდ საწარმოთა დიდი ნაწილი

ამორტიზებულია და მათ მიერ წარმოებული პროდუქცია კონკურენიაც ვერ უწევს მსხვილი საწარმოების მიერ წარმოებულ პროდუქციას, ასეთ დროს მცირდება კომერციული ბანკების მხრიდან აქტიური დაკრედიტების ინტერესი. ამას ემატება ისიც რომ ბანკები ზოგადად ერიდებია მცირე ბიზნესის გრძელვადიანი სესხით დაფინანსებას, რაც გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზებით.

- ❖ ფინანსური რისკი – არარენტაბელურ საწარმოში დიდია სესხის გადახდისუუნარობით გამოწვეული რისკები;
- ❖ მოკლევადიანი დაკრედიტების შემთხვევაში კომერციული ბანკები სწრაფად ახერხებენ ფულის დაბუნებას, ვიდრე გრძელვადიანი დაკრედიტებისას; ამიტომ კომერციული ბანკები ხშირად ამჯობინებენ მოკლევადიან დაკრედიტებას;
- ❖ დეპოზიტების ნაკლებვადიანობა, ანუ ფულადი რესურსების მფლობელნი ცდილობენ მოკლევადიანი ანაზრების განთავსებას რადგან საბანკო სექტორის მიმართ მცირე ნდობა;
- ❖ ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობა – განვითარებადი ქვეყნების უმეტეს ნაწილში და მათ შორის საქართველოშიც არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, რაც მკვეთრად უარყოფითად აისახება ბიზნესზე; ზოგადად, ამ ქვეყნების ეკონომიკაზე;

დღეისათვის საქართველოში კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკა მეტად უწყობს ხელს ეკონომიკის განვითარებას ვიდრე გასულ პერიოდში. ეს განპირობებულია იმით, რომ ძირითადად კომერციულმა ბანკებმა დაიწყეს გრძელვადიანი სესხების გაიცემა, მაშინ როცა წინა წლებში ძირითადად გასცემდნენ მოკლევადიან კრედიტებს სავაჭრო - საშუამავლო ოპერაციებისათვის. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ბანკების კრედიტების საერთო მოცულობაში ძალიან მცირე ხვედრითი წილი უკავია გრძელვადიან სესხებს ინვესტიციებზე, საწარმოთა დაკრედიტებაზე. გარკვეულწილად ეს განპირობებულია სესხების მიზნობრიობით, კერძოდ, მოკლევადიანი აქტივებისთვის საჭირო სესხები გაიცემა მოკლე ვადით (ძირითადად 0-48 თვემდე).

2.4 კომერციული ბანკების საკრედიტო პროდუქტები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის

საქართველოს საკრედიტო ბაზარზე კომერციული ბანკები აქტიურად გასცემენ ბიზნეს სესხებს სხვადასხვა მიზნობრიობებით, მაგალითად: საბრუნავი საშუალებების შევსება, კრედიტორული და საგადასახადო დავალიანების დაფარვა, ძირითადი საშალებების შეძენა, ბიზნეს იპოთეკური სესხი, რომლის დროსაც შესაძლებელია საწარმოსთვის საჭირო უძრავი ქონების შეძენა. მიზნობრიობებიდან და საქმიანობის სფეროდან გამომდინარე არსებობს სხვადასხვა საკრედიტო პროდუქტი, ესენია მოკლევადიანი ბიზნეს სესხი, რომელიც გაცივმა საბრუნავი საშალებებისთვის, გრძელვადიანი სესხები ძირითადი საშუალებებისთვის, საკრედიტო ხაზი, აგრო სესხი და სხვა. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

საბრუნავი საშუალებების დაფინანსება

ყველა ორგანიზაციას, მისი ზომის და საქმიანობის დამოუკიდებლად ფუნქციონირებისთვის ესაჭიროება საბრუნავი საშუალებები, რათა უზრუნველყოს მისი ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, განსაზღვროს სამომავლო წარმოების პოლიტიკა და სხვა. ამ ტიპის ბიზნეს სესხების გაცემა ხდება შემდეგი მიზნობრიობებით:

- ❖ სასაქონლო მატერიალური მარაგების შეძენა
- ❖ სახარჯი მასალების შეძენა
- ❖ კრედიტორული დავალიანების დაფარვა
- ❖ საგასახადო დავალიანების დაფარვა
- ❖ ხელფასების გაცემა და სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსება

ძირითადი საშუალებების დაფინანსირება

გრძელვადიან პერიოდში ნებისმიერ ბიზნესი ორიენტირებულია მაქსიმალური მოგების მიღწევაზე და ამისათვის დროთაგანმავლობაშ საჭირო ხდება ძირითად საშუალებების განახლება ან ახალი მოწყობილობების შეძენა, ამიტომ აღნიშნული პროდუქტი სწორედ ამ მიზანს ემსახურება. აღნიშნული ტიპის სესხი შეიძლება გაცივს გრძელი ვადით(მაქსიმალური ვადა ძირითადი საშუალებებისთვის 120 თვე, უძრავი ქონების შეძენა/რემონტისთვის 180 თვე) და შესაძლებელია:

- ❖ საწარმოო მანქანა-დანადგარების განახლება/შეძენა

- ❖ საქმიანობისთვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებების შეძენა
- ❖ ბიზნესისთვის საჭირო უძრავი ქონების შეძენა ან რემონტი

საკრედიტო ხაზი

საკრედიტო ხაზი არის სესხი რომლის დროსაც მომხმარებელს შეუძლია ნებისმიერ დროს აითვისოს და დაფაროს სესხის თანხები წინასწარ განსაღვრული ლიმიტის ფარგლებში, ასეთ დროს საპროცენტო სარეგებელის დარიცხვა ხდება როგორც ათვისებულ ისე აუთვისებელ თანხებზე(თუმცა გაზრდილი კონკურენციის გამო ათვისებელ თანხაზე, როგორც წესი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0%-ა). საკრედიტო ხაზის მაქსიმალური ვადა არის 1 წელი, პრაქტიკაში გავრცელებულია რომ საკრედიტო ხაზის ლიმიტი იფარება ვადის ბოლოს სრულად, ან ბოლო რამდენიმე თვეში, ხოლო დარიცხული სარეგებელი ყოველთვიურად. საკრედიტო ხაზის გაცემა ხდება საბრუნავი საშუალებების შესაძენად და მსათან დაკავშირებულ მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად. საკრედიტო ხაზის მომხმარებლები არიან კომპანიები რომლებსაც აქვს მაღალი ნავაჭრები და არ უჭირთ ფულის აკულირება საკრედიტო ხაზის სრულად დასაფარად.

უგირავნო ბიზნეს-სესხი


როგორც აღვნიშნეთ მიკრო მცირე და საშუალო ბიზნესს ხშირად ესაჭიროებათ ფულადი სახსრების დამატება, როგორც საბრუნავი ისე ძირითადი საშუალებების შესაძენად, თუმცა ხშირად არასაკმარისი უზრუნველყოფის გამო უჭირთ ბანში ბიზნეს სესხით სარგებლობა. სწორედ ამიტომ არსებობს საკრედიტო პროდუქტი, რომლით სარგებლობა არ მოითხოვს უძრავი ქონების უზრუნველყოფას. სტანდარტულად წამყვანი კომერციული ბანკების უგირავნო ბიზნეს სესხის ლიმიტი განისაზღვრება 40,000 ლარით, თუმცა ბანკები განიხილავენ მომხმარებლების ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და გარკვეული გამონაკლისების ხარჯზე შესაძლებელია უგირავნოდ გაცილებით მეტი თანხის გაცემა(100,000 – 150,000 ლარი). აღნიშნული დაკრედიტების მიზანია, ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ფინანსურ სტაბილურობას, უზრუნველყოს მისი საბრუნავი სახსრების და ფიქსირებული აქტივების ფინანსირება, კომპანიის პროფილის გაფართოება, დაეხმაროს მსესხებელს განახორციელოს ინვესტიციები სხვა მიმართულებებში/ბიზნესებში, ხელი შეუწყოს კომპანიის მფლობელების მატერიალურ კეთილდღეობას.

აგრო სესხი

სხვა სამეურნეო საქმიანობისაგან განსხვავებით აგრო სფერო სპეციური საქმიანობა და ინდივიდუალურ მიდგომებს მოითხოვს. აგრო ბიზნესის ხასიათდება სეზონურებით და შესაბამისად ამ სფეროში გაცემული სესხებიც შემოსავლების მიღების პერიოდების მიხედვით იფარება. პრაქტიკაში შეიძლება შევხვდეთ ისეთ გრაფიკებს რომლის მიხედვით მეწარმე მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ იხდის წელიწადში სესხის შენატანს. ისევე როგორც სტანდარტული ბიზნეს სესხები, აგრო სესხიც შეიძლება გაიცეს როგორც უგირავნოდ ისე ქონების უზრუნველყოფით და როგორც საბრუნავი საშუალებების შეზენის ასევე ძირითადი საშალებების შეძენის მიზნობრიობით. აგროსესხის გამოყენებით შესაძლებელია:

- ❖ სწორად დაიგეგმოს სეზონის მიხედვით შესასრულებელი ვალდებულებები;
- ❖ სათესლე საშუალებებისა და აგრო ბიზნესისათვის განკუთვნილი ხელსაწყო-დანადგარების შეძენა;
- ❖ სხვადასხვა (არასამომხმარებლო) ვალდებულებების გადაფარვა.

გრაფიკი 2.4.1. აგრო სესხების გაცემები 2015 – 2019 წლების კვარტლების მიხედვით - საქართველოს ეროვნული ბანკი.



აგრო სესხების გაცემების მრუდის მიხედვით გაცემების მაღალი ნიშნული ფიქსირდება მესამე კვარტალში, რაც დაკავშირებულია აგრო საქმიანობის აქტივობასთან.


მნიშვნელოვანია აგრეთვე სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამები, მაგალითად:

იაფი აგრო სესხი

დღესდღეობით აგრო მიმართულებით შესაძლებელია სახელმწიფო სუფსიდირებით სესხის აღება, რომელსაც ეწოდება „იაფი აგრო სესხი“. აღნიშნულ პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს სახელმწიფო უფინანსებს წლიური საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვან ნაწილს (თავდაპირველად იყო წლიური 11%, ამჟამად არის წლიური 8%) და ამრიგად ხდება აგრო სექტორის წახალისება. შეღავათიანი აგრო სესხის მიზნებს წარმოადგენს:

- ❖ სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების გაუმჯობესების მიზნით, ფიზიკური და იურიდიული პირების უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით. ასევე ფერმერების გამსხვილებისა და კოოპერაციის ხელშეწყობა.
- ❖ „შეღავათიანი აგროკრედიტი“ ფარგლებში სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის მიმართულების საწარმოები საფინანსო ინსტიტუტებისგან მიიღებენ ორი სახის შეღავათიან კრედიტს: ა) შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის; ბ) შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის⁷.

გრაფიკი 2.4.2. იაფი აგრო სესხების ბენეფიციართა რაოდენობა 2013 – 2019 წლების მიხედვით - ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო.




⁷ საქართველოს მთავრობის განკარგულება №1151 „შეღავათიანი აგროკრედიტის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ - მუხლი 3(შეღავათიანი აგროკრედიტის მიზანი და კომპონენტები).

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემსყიდველი და/ან გადამამუშავებელი საწარმოებისთვის საბრუნავი საშუალებების დაფინანსების შემთხვევაში, ერთ ბენეფიციარზე ერთი მიზნობრიობის ფარგლებში გაცემული შეღავათიანი აგროკრედიტის თანხა განისაზღვრება 20 000 ლარიდან 10 000 000 ლარამდე, კრედიტის თანხის გაცემა ხდება მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.

გრაფიკი 2.4.2-ის მიხედვით ჩანს, აღნიშნული პროგრამა აქტიურად დაიწყო 2013 წელს და ბენეფიციართა რაოდენობამ პიკს 2014 წელს მიაღწია, როდესაც ჯამში 12 945 სესხი გაიცა. აღნიშნული მაჩვენებელი საშუალო მაჩვენებელს 3-ჯერ აღემატება, ასეთი მაღალი მოთხოვნა აიხსნება იმით რომ სახელმწიფოს სუფსიადია იყო სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგზე, რაც წლების მიხედვით შეიცვალა და გარკვეული დარგები აღარ ფინანსდება. ასევე 2014 წელს სესხების მცირედი რაოდენობა არამიზნობრივად დაიხარჯა, რის გამოც სოფლისა და სოფლის მეურნეობის სააგენტოს მოუწია სახელმწიფო სუფსიდიის შეჩერება. შემდეგი წლების სტატისტიკას თუ შევხედავთ სტაბილურად ზრდადია ბენეფიციართა რაოდენობა. 2020 წლის პირველ კვარტალის მონაცემებით გაცემულია სულ 1 199 სესხი⁸, წინა წლოების პირველი კვარტლების მაჩვენებლებს მცირედით აღემატება, რაც იმას ნიშნავს რომ ამ წელსაც მოსალოდნელია ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა.

გრაფიკი 2.4.2. იაფი აგრო სესხების სტატისტიკა 2013 – 2019 წლების მიხედვით - ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო.



⁸ ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო - „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ („აწარმოე საქართველოში“ კომპონენტის გარდა) სტატისტიკური მონაცემები 2013 წ-დან 2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით.

ბენეფიციართა რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდება საშუალო სესხის მოცულობა, 2014 წელს, როდესაც დაფიქსირდა ბენეფიციართა მაქსიმალური რაოდენობა, საშუალო სესხის მოცულობა იყო 35 000 ლარი, ხოლო 2019 წელს 76 500 ლარი, ანუ ინვესტიცია 1 ბენეფიციარზე გაორმაგებულია, აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ წინა პერიოდთან შედარებით განვითარების უფრო მაღალ საფეხურზეა ასული აგრო ბიზნესი საქართველოში და მიზანი რის გამოც შეიქმნა აღნიშნული პროგრამა გარკვეულ წილად სრულდება.

აწარმოე საქართველოში

პროგრამა იაფი აგრო სესხთან ერთად არსებობს სხვა სახელმწიფო სუფსიდირების პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომელიც შექმნილია ასევე ადგილობრივი წარმოების წასახალისებლად კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად⁹. პროგრამაში ჩართული ბენეფიციარები სარეგებლობენ ისეთი სახელმწიფო სუფსიდიით, როგორც არის 2 წლით წლური საპროცენტო განაკვეთის ძირითადი ნაწილის დაფინანსება. პროექტის ფარგლებში მეწარმეებს შეუძლიათ განაახლონ საწარმოო დანადგარები, შექმნან ახალი საწარმოო ხაზები და სხვადასხვა გზებით განავითარონ ბიზნესი. აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში არ არის შესაძლებელი სესხის აღება ისეთი მიზნებით, როგორც არის: საბრუნავი საშუალებების შეძენა, მიმდინარე ხარჯებისა და დებიტორული დავალიანების დაფარვა, რაც არის დაკავშირებული ბიზნესის გრძელვადიან განვითარებასთან. პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ დაფუძნდა 2014 წელს, ჯამში გაცემულია 109 970 353 ლარი, ჯამში 27 ბენეფიციარზე და სახელმწიფოს ჯამური სუფსიდია 14 061 139 ლარია¹⁰.

ოვერდრაფტი - სესხი, რომელიც კომპანიებს ეხმარება მოკლევადიანი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და აღება მიზანშეწონილია მხოლოდ ერთჯერადი ოპერაციების შესასრულებლად, მაგალითად კონკრეტული საქონელი პარტიის შეძენისას, რომლის რეალიზაციისთანავე კრედიტი დაიფარება, ოვერდრაფტი მოკლევადიანია, ვადა 1-დან 3 თვემდე მერყეობს.

⁹ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება N1-1/217, 2017 წლის 29 მაისი.

¹⁰ ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო - „შეღვათიანი აგროკრედიტის პროექტის“ კომპონენტის „აწარმოე საქართველოში“ სტატისტიკური მონაცემები 2014 წ-დან 2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით.

ფინანსური ლიზინგი საშუალებას იძლევა კომპანიამ შეისყიდოს მის მიერვე შერჩეული კონკრეტული ნივთი (მანქანა-დანადგარები, ავტოტრანსპორტი და სხვ.) საბოლოო გამოსყიდვით, კომპანია გარკვეული თანამონაწილეობის შემდეგ იღებს დაფინანსებას ბანკისგან და იძენს ძირითად საშუალებას გარკვეული ვადით, აღნიშნული მომსახურება მსგავსია ჩვეულებრივი მიკროკრედიტისა, იმ განსხვავებით, რომ შეძენილი საშუალებები არ ირიცხება კომპანიის ბალანსზე მანამ, სანამ არ მოხდება დავალიანების სრულად დაფარვა, რომელიც იფარება ნაწილებად, როგორც მიკროკრედიტი.

საბანკო/სატენდერო გარანტია – ტენდერში მონაწილეს მოეთხოვება თავის წინადადებასთან ერთად წარადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უნდა ფარავდეს ტენდერის მომწყობი ორგანიზაციის ხარჯებს იმ შემთხვევაში, თუ მხარე, რომელიც გაიმარჯვებს ტენდერში და შესაბამისად მიიღებს შეკვეთას შემდგომ უარს განაცხადებს თავისი მოვალეობების შესრულებაზე და აქედან გამომდინარე, ორგანიზაციას მოუწევს ტენდერის ხელშეორედ ჩატარება. ასეთი ტიპის გარანტიები მოკლევადიანია და გრძელდება ტენდერის დასრულებამდე. წინასწარ გადახდის გარანტია, როდესაც კონტრაქტი ითვალისწინებს წინასწარ ანუ საავანსო გადახდას, ამ ტიპის გარანტიები მოითხოვება როგორც თანხის დაბრუნების უზრუნველყოფა იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდა კონტრაქტით გათვალისწინებული მიწოდება. ვალდებულების შესრულების გარანტია არის გარანტიის ტიპი, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება და იგი წარმოადგენს ბანკის ვალდებულებას გადაუხადოს გამყიდველს (მყიდველს) კონტრაქტის ღირებულების გარკვეული პროცენტი თუ იგი წარმოადგენს პრეტენზიას იმის შესახებ, რომ მყიდველმა (გამყიდველმა) არ შეასრულა კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებები. აღნიშნული გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება კონტრაქტის მოქმედების ვადით. გადახდის გარანტია არის ბანკის ვალდებულება კონტრაქტის თანხის (მთლიანად ან ნაწილის) გადახდაზე, გაცემულს გამყიდველის სასარგებლოდ, იმ შემთხვევაში თუ იგი წარუდგენს მას პრეტენზიას მასზედ, რომ მყიდველი არ ასრულებს თავის ვალდებულებას კონტრაქტის თანხის გადახდასთან დაკავშირებით დათქმულ ვადაში. საბაკო გარანტია მეწარმეთათვის საოცრად პრაქტიკული საკრედიტო პროდუქტია. განაკვეთი 0-6%-მდე¹¹.

ბიზნეს სესხის გაცემის პროცედურა მოიცავს ბანკის წარმომადგენლის – ბიზნეს ბანკირის მიერ ბიზნესის ადგილზე გაცნობას, ამ ბიზნესის ფინანსური

¹¹ ს.ს. საქართველოს ბანკი - საცალო ბიზნესის საბანკო მომსახურების დაკრედიტების დებულება.

მდგომარეობის შესწავლას და აღნიშნული მონაცემების საფუძველზე ბანკის თუ საკრედიტო ორგანიზაციის საკრედიტო კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღებას დაფინანსება-არ დაფინანსების თაობაზე. სტანდარტული ბიზნეს-სესხის ვადა განისაზღვრება მიზნობრიბს მიხედვით 3-180 თვემდე, და გაცემა 500 ლარიდან(ეკვ. სხვა ვალუტაში)¹².

¹² ს.ს. საქართველოს ბანკი - საცალო ბიზნესის საბანკო მომსახურების დაკრედიტების დებულება.

თავი მესამე. საქართველოს საკრედიტო სისტემა და საკრედიტო პოლიტიკა მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების საქმეში, ეკონომიკური კრიზისის გავლენა ბიზნესზე

3.1 საკრედიტო სისტემის როლი მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებაში

საკრედიტო სისტემა წარმოადგენს ქვეყნის საფინანსო სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს, რომლის არსებობა და ნორმალური ფუნქციონირება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე, ისევე როგორც ეკონომიკა ახდენს გავლენას ქვეყნის საკრედიტო სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე.

საკრედიტო სისტემა - ეს არის ქვეყნის ცენტრალური ბანკის და სხვადასხვა კომერციული ბანკების ერთობლიობა, რომლებიც საერთო ფულად-საკრედიტო მექანიზმის ჩარჩოებში მოქმედებენ, საკრედიტო სისტემის მარეგულირებელი არის ცენტრალური ბანკი. საკრედიტო სისტემა სხვადასხვა სახის სტრატეგიული სტრატეგიული ამოცანების გადასაწყვეტად გამოიყენება:

- 1) ინფლაციის რეგულირება;
- 2) ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა;
- 3) საგადასახადო ბანალსის რეგულირება.

დამოუკიდებელი საბანკო-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბების პროცესში საქართველოს საკრედიტო სისტემამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. განვითარებისა და რესტრუქტურისაციის პროცესი მიზნად ისახავდა ფინანსური მდგრადობის განმტკიცებას კაპიტალის საკმარისობის გაძლიერების საფუძველზე. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე გამუდმებით მიმდინარეობს რეფორმები საკრედიტო სისტემის სტაბილური ზრდისა და განვითარების ხელშესაწყობად, რამაც დღევანდელი გადასახედიდან თუ ვიშჯელებთ, თავისი შედეგი გამოიღო და დღეს არსებული სტაბილური საკრედიტო სისტემა საქართველოში, ჩემი აზრით, მეტწილად სახელმწიფოსა და ეროვნული ბანკის მიერ სწორად გატარებული რეფორმების შედეგია.


საკრედიტო სისტემა შეიძლება წარმოდგენილი იქნეს როგორც ერთი მთლიანობა, როგორც ერთი მთლიანი მექანიზმი და მისი ნაწილების მრავალფეროვნება. ეს ნიშნავს, რომ თუკი ხორციელდება ერთი კონკრეტული სუბიექტის ლიკვიდაცია ამ ჯაჭვში, მას აუცილებლად უნდა ჩაენაცვლოს მეორე ეკონომიკური სუბიექტი, რომელიც ანალოგიურ ფუნქციებს შეასრულებს. დღეისათვის ოფიციალური მონაცემების მიხედვით 15 ლიცენზირებული კომერციული ბანკი ფუნქციონირებს¹³:

1. ს.ს. საქართველოს ბანკი
2. ს.ს. თიბისი ბანკი
3. ს.ს. ლიბერთი ბანკი
4. ს.ს. ბაზის ბანკი
5. ს.ს. ვითიბი ბანკი ჯორჯია
6. ს.ს. ბანკი ქართუ
7. ს.ს. პროკრედიტ ბანკი
8. ს.ს. სილქ როუდ ბანკი
9. ს.ს. ზირაათ ბანკი საქართველო
10. ს.ს. იმ ბანკი საქართველო
11. ს.ს. ტერაბანკი
12. ს.ს. ხალიკ ბანკი საქართველო
13. ს.ს. პაშა ბანკი საქართველო
14. ს.ს. ფინკა ბანკი საქართველო
15. ს.ს. კრედო ბანკი

აღნიშვნის ღირსია, ბოლო პერიოდში განხორციელებული რამდენიმე დიდი ცვლილება, კერძოდ ს.ს. საქართველოს ბანკის მიერ ჯერ ს.ს. ტაო პრივატ ბანკის და შემდეგ ს.ს. პროკრედიტ ბანკის საკრედიტო პორტფელის, ხოლო ს.ს. თიბისი ბანკის მიერ ჯერ ს.ს. ბანკი კონსტანტას და შემდეგ ს.ს. ბანკი რესპუბლიკას მიერთება. ს.ს. თიბისი ბანკის მიერ ს.ს. ბანკი რესპუბლიკას მიერთება ყველაზე მსხვილი საბანკო გარიგებაა საქართველოს საბანკო სისტემის ფორმირების მანძილზე. გრაფიკის მიხედვით ჩანს რომ საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების მაჩვენებელს ზრდადი ტენდენცია აქვს, რაც მიუთითებს საბანკო სისტემის სწორად მართვასა და ფინქციონირებაზე.

¹³ საქართველოს ეროვნული ბანკი

გრაფიკი 3.1.1. კომერციული ბანკების აქტივები, 2012-2020 წლები (წლის ბოლო კვარტლის მდგომარეობების მიხედვით)



რაც შეეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, საქართველოში ეროვნული ბანკის მონაცემებით რეგისტრირებულია 42 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. მათი რიცხვი საგრძნობლად შემცირდა, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული რეგულაციების შემდეგ. რეგულაციების მიხედვით ჯერ შემოღებულ იქნა საკრედიტო პროდუქტებზე წლიური საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარი 100%-ის ოდენობით და შემდეგ შემცირდა 50%-მდე, ასევე რეგულაციების მიხედვით შეუძლებელი გახდა სესხის აღება შემოსავლების დადასტურების გარეშე. ასევე შემოღებულ იქნა სესხის მომსახურების PTI კოეფიციენტი, რომელიც გულისხმობს მსესხებლის განკარგვადი შემოსავლის პროპორციულად სესხის მომსახურებაზე გაწეული ხარჯების მაქსიმალური ზღვრების დადგენას. PTI კოეფიციენტის ზღვრები განსხვავებულია ჰეჯირებული და არაჰეჯირებული მსესხებლებისთვის. მარტივად რომ ავხსნათ ჰეჯირებულ მსესხებლებში იგულისხმება ისეთი მომხმარებლები რომლებსაც სესხი აღებული აქვს ეროვნულ ვალუტაში, ხოლო არაჰეჯირებული მსესხებლები არიან ისინი ვისაც სესხი აქვთ უცხოურ ვალუტაში. ასევე კოეფიციენტები სხვადასხვა მსესხებლის შემოსავლების მიხედვით(იხ. ცხრილი).

ცხრილი 3.1.1: სესხის მომსახურების მაქსიმალური კოეფიციენტები დაგრძელვადიანებულ დასაკონტრაქტო ვადიანობაზე


ყოველთვიური წმინდა შემოსავალი. (ლარი)	არაჰეჯირებული მსესხებლებისთვის მაქსიმალურ/საკონტრაქტო ვადიანობაზე	ჰეჯირებული მსესხებლებისათვის მაქსიმალურ/საკონტრაქტო ვადიანობაზე
<1 000		25% / 35%
>=1 000 – 2 000<	20% / 25%	35% / 45%
>=2 000 – 4 000<	25% / 30%	45% / 55%
>=4 000	30% / 35%	50% / 60%

PTI კოეფიციენტთან ერთად ცენტრალური ბანკის მიერ შემოღებული რეგულაციებიდან შემდეგია სესხის უზრუნველყოფის LTV კოეფიციენტი, აღნიშნული კოეფიციენტი ლარით გაცემული სესხებისთვის არის 85%, ხოლო უცხოურ ვალუტით გაცემული სესხებისთვის არის 70%¹⁴. აღნიშნული რეგულაციები არის იპოთეკური და სამომხარებელი მიზნობრიობით გაცემულ სესხზე. რეგულაციები ასევე შეეხო მესამე პირის გარანტიის (თავდებობას), კომერციულ ბანკებს შეეზღუდათ მესამე პირის გარანტია მიიღო იმ შემთხვევაში გარანტორი საკუთარი შემოსავლებით არ ემსახურება სესხის თანხას, ანუ არ ჯდება PTI კოეფიციენტის ზღვრებში.

ხსენებული რეგულაციების მიხედვით ოპერირება მოითხოვს დიდ რესურსს, როგორც ფულად აქტივებს ასევე სამუშაო ძალას და გამოცდილებას, რაც არ გააჩნდათ საქართველოში არსებულ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ისინი ვეღარ გასცემდნენ სესხებს მაღალ საპროცენტო განაკვეთებში შემოსავლების დადასტურების გარეშე, ვერ იღებდნენ მესამე პირის გარანტიას მისი შემოსავლების გათვალისწინების გარეშე, რადგან ყველა რეგულაციის დაცვა ამცირებდა მათ მოგებას და ზრდიდა ხარჯებს, ამიტომ მათი რიცხვი საგრძნობლად შემცირდა, მათი შერწყმის ან ბაზრიდან გასვლის გამო. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი აქტივების დინამიკას თუ დავაკვირდებით შევამჩნევთ რომ 2016 წლამდე(ეროვნული ბანკის რეგულიებამდე) მათი აქტივების ტრენდზე ზრდადი დინამიკა შეინიშნება, 2016 წელს მთლიანი აქტივები 2012 წელთან შედარებით გაზრდილია 197 %-ით, რაც ჩემი აზრით 4 წლის განმავლობაში ძალიან მაღალია. ხოლო 2019 წლის მონაცემებით მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი აქტივები შემცირებულია 641 მლნ ლარით.

¹⁴ საქართველოს ეროვნული ბანკი

გრაფიკი 3.1.1. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივები, 2012-2019 წლები (წლის ბოლო კვარტლის მდგომარეობების მიხედვით)



ეროვნული ბანკის მიერ გატარებული რეგულაციები არ არის მიმართული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემცირებისთვის, არამედ ახალი რეგულაციების მიხედვით უფრო მეტად არის დაცული მსესხებლების უფლებები, იზრდება კონკურენცია ბანკებს შორის რაც გრძელვადიან პერიოდში გამოიწვევს საპროცენტო განაკვეთების შემცირებას და ზოგადად საბანკო სისტემის კიდევ უფრო გაჯანსაღებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ გამართული და ჯანსაღი საკრედიტო სისტემა დადებით გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე და თუ ვივარაუდებთ იმას რომ ჩვენი ვვარაუდობთ რომ საქართველოს საბანკო სისტემა დღითიდღე უფრო ვითარდება, უნდა ვივარაუდოთ რომ აღნიშნული დადებით გავლენას მოახდეს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე.

3.2 კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა და მცირე და საშუალო ბიზნესთან არსებული პრობლემები

საქართველოში ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან პრინციპულად ახალ საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლამ მოითხოვა საკრედიტო ურთიერთობების და საბანკო საქმეში ძირეული გარდაქმნების აუცილებლობა, რომლის არსი იმაში მდგომარეობს რომ შემუშავდეს და განხორციელდეს ისეთი კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საბაზრო ურთიერთობებთან ბანკების ადეკვატური საქმიანობის უზრუნველყოფას. ე.ი. ახალ საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პოლიტიკის გასატარებლად, საქართველოს ეროვნულ ეკონომიკაში კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის განსაკუთრებული როლი განისაზღვრება: ფულადი საშუალებების, საბაზრო ეკონომიკის დარგებსა და სფეროებში გადანაწილების, მოსახლეობისა და იურიდიულ პირების დანაზოგების არამწარმოებლური სფეროდან საწარმოო სფეროში გადატანის, ეკონომიკის მოთხოვნილებების, დაფინანსებისა და დაკრედიტების პროცესში, მიმოქცევაში დამატებით ნაღდი ფულის გაშვების გარეშე ე.ი. არაინფლაციური გზით.

ბანკები საკრედიტო პოლიტიკას შეიმუშავენ პირველ რიგში იმიტომ, რომ ჰქონდეთ ფულადი სახსრების მოძრაობის საშუალება ბანკსა და მომხმარებლებს შორის და შეძლონ ამ ურთიერთობების რეგულირება, მართვა და რაციონალური ორგანიზაცია. ცივილიზებულ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური ზრდის და საერთოდ განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად მიჩნეული უნდა იქნეს ეკონომიკის სუბიექტების თავისუფალი ოპერირება. მიმდინარე ეტაპზე აუცილებელია არსებული მდგომარეობის შესწავლის შემდეგ დაისახოს კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკის ფორმირების ახალი მიდგომები და მექანიზმები იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთკავშირში.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში მხედველობაში იღებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორც არის:

- ❖ სესხის დამუშავების პროცესში შიდა საბანკო ლიმიტის დაწვევა მსესხებლის ან მსესხებლის დაკავშირებული ჯგუფისათვის და აღნიშნული ლიმიტის ფარგლებში მსესხებლებს შესაძლებლობა ექნებათ სესხების ათვისება ნებისმიერ დროს და ლიმიტით განსაზღვრული ნებისმიერ ოდენობით;

- ❖ საკრედიტო რისკების სრულყოფისთვის სპეციალური ანალიტიკური ფორმების და მოდელების შემუშავება, რომლებიც განსაზღვრავს ინდივიდუალურად მსახელების რისკის დონეს.
- ❖ ეკონომიკის დივერსიფიკაცია სხვადასხვა დარგების მიხედვით, რომლის საშუალებით შესაძლებელია ბანკის საკრედიტო პოლიტიკა იყოს სხვადასხვაგვარი ეკონომიკის სხვადასხვა დარგების მიხედვით.
- ❖ რისკის შედარებით დაბალი დონის გათვალისწინებით ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების განსაზღვრა.
- ❖ ეკონომიკის იმ დარგებთან მიმართებაში, რომლებიც რისკის შედარებით მაღალი დონით ხასიათდება, საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრება.
- ❖ კრედიტებზე რისკიანობის კოეფიციენტიდან გამომდინარე საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება.

ბანკის ხელმძღვანელობის მხრიდან საკრედიტო პოლიტიკის შემუშავების დროს მკაფიოდ უნდა იქნეს განსაზღვრული დაკრედიტების მიზნები რაც უპირველეს ყოვლისა უნდა შეესაბამებოდეს ბანკის საერთო სტრატეგიულ მიზნებს და ამოცანებს. აღნიშნული მიზნების განსაზღვრის პარალელურად ბანკმა უნდა შექმნას დაკრედიტების სტანდარტები და საკრედიტო ინტრუქციები, რომლებმაც ბანკის შესაბამისი ქვედანაყოფის თანამშრომლებს მათზე დაკისრებულ ვალდებულების ოპერატიულ შესრულებაში უნდა შეუწყოს ხელი. ბანკის მმართველთა საბჭოს მიერ დამტკიცებული საკრედიტო პოლიტიკა სისიტემატურად უნდა მუშავდებოდეს და იხვეწებოდეს და შეესაბამებოდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოდელს, მორგებული უნდა იყოს კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკურ რეალობას და არ უნდა ჩამორჩებოდეს კონკურენტებს.

საკრედიტო პოლიტიკის განსაზღვრული ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები ერთიანობაში კომერციული ბანკის საკრედიტო საქმიანობის ორგანიზაციას და სტაბილური შემოსავლების ძირითად ფუნდამენტს ქმნის. კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა მოიცავს საბანკო კრედიტის მოძრაობის ყველა ფორმას და სახესხვაობას, სწორედ ამიტომ საკრედიტო პოლიტიკა უნდა წარმოვიდგინოთ ერთის მხრივ როგორც დარეკდიტების, მეორე მხრივ სესხის მიღების პოლიტიკა.

საკრედიტო პოლიტიკის მთავარ ელემენტებად მიჩნეულია:

- ❖ მიზანი, რის საფუძველზეც წარმოებს საკრედიტო პორტფელის ფორმირება.
- ❖ სესხის გაცემის პროცესში იმ უფლების აღწერა, რომელიც მიცემული აქვს ბანკირსა და საკრედიტო კომიტეტს.

- ❖ შემოწმების, შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღება კლიენტის საკრედიტო განასახადის თაობაზე.
- ❖ საკრედიტო განცხადებაზე თანდართული აუცილებელი დოკუმენტაცია, რომელიც ინახება საკრედიტო განაცხადის საქმეში და ინახება ბანკის არქივში.
- ❖ დაკრედიტების პროცესზე პასუხისმგებელ ბანკის თანამშრომლების უფლებების და მოვალეობების დეტალურად განსაზღვრა და სწორად გადანაწილება.
- ❖ საკრედიტო პროდუქტის უზრუნველყოფის, მიღების, შეფასებისა და რეალიზაციის ძირითადი წესების შემუშავება.
- ❖ საკრედიტო განაკვეთების დაწესების პოლიტიკისა და პრაქტიკის აღწერა, კრედიტის დაფარვის პირობებში.
- ❖ მომსახურების სტანდარტების დადგენა, ხარისხის კონტროლი და მუდმივ გაუმჯობესებაზე ზრუნვა.
- ❖ საკრედიტო პროდუქტების მიხედვით მაქსიმალური და მინიმალური ლიმიტების განსაზღვრა.
- ❖ პრობლემურ სესხებთან დაკავშირებული სიტუაციების ანალიზი და მათ გადაჭრის გზების ძიება.

საკრედიტო პოლიტიკის არსებობა კომერციული ბანკებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. იგი მოიცავს იმ პროცედურის აღწერას, რომელსაც თვალყური უნდა ადევნოს ბანკის მუშაკებმა. საკრედიტო პოლიტიკის აღწერა ბანკს ხელს უწყობს ჩამოაყალიბოს ისეთი საკრედიტო პორტფელი, რომელიც მას დაეხმარება მთელი რიგი მიზნების მიღწევაში, მაგალითად: უზრუნველყოს მომგებიანობა, კონტროლი დააწესოს რისკის მართვაზე, დაიცვას მარეგულირებელი ორგანოების მიერ წამოყენებული მოთხოვნები. რეალურად საკრედიტო პოლიტიკა ზოგადად კომერციული ბანკის საბანკო პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, ისევე როგორც სადეპოზიტო პოლიტიკა, სავალუტო პოლიტიკა, საპროცენტო პოლიტიკა, რისკების მართვის პოლიტიკა და სხვა. ყველა მიმართლება გარკვეულწილად დაკავშირებულია ერთმანეთთან და გამომდინარეობს ერთმანეთისგან, მაგალითად რაც არ უნდა შერბილებული იყოს საკრედიტო პოლიტიკა, თუ მაგალითად საპროცენტო პოლიტიკა იქნება შემზღუდველი, ანუ იქნება მაღალი საპროცენტო განაკვეთები, მაშინ საკრედიტო პოლიტიკის მიზნები არ შესრულდება. საკრედიტო პოლიტიკას, მის სწორად განსაზღვრასა და ფორმირებას კონკრეტული საკრედიტო სუბიექტისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ორი ძირითადი მიზეზის გამო:

1. საკრედიტო პოლიტიკის როლი მდგომარეობს საბანკო საქმიანობის განვითარების, საკრედიტო პროცესის განვითარების, საკრედიტო რესურსების

აკუმულაციისა და მის სწორად ინვესტირებაში ეკონომიკის განვითარებისთვის საჭირო სამეურნეო დარეგებში.

2. მაკროეკონომიკურ დონეზე ხაზი უნდა გავუსვათ საკრედიტო პოლიტიკის დიდ მნიშვნელობას მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის ფორმირების, განაწილებისა და გადანაწილების პროცესში, ფულის ბრუნვის დაგეგმვის და რეგულირების ორგანიზაციაში, ხოლო მიკროეკონომიკურ დონეზე - კონკრეტული საკრედიტო სუბიექტის სწორად შემუშავებული საკრედიტო პოლიტიკა უზრუნველყოფს მის სტაბილურობას, რენტაბელობასა და ლიკვიდობას, კლიენტების მოთხოვნებთან მისი საქმიანობის ადექვატურობას.

კომერციული ბანკის მიერ გატარებული საკრედიტო პოლიტიკის მიზანია სტაბილური მომგებიანობა, რისკების მინიმიზაცია, სტაბილური, გრძელვადიანი ლიკვიდურობის უზრუნველყოფა, აქტივებისა და კაპიტალის ზრდა და ზოგადად კონკრეტული ეკონომიკური სუბიექტის განვითარება. იმასთან დაკავშირებით, რომ საკრედიტო პოლიტიკა საბანკო პოლიტიკის ელემენტია, მისი მიზანი ორგანულ კავშირში იმყოფება ბანკის სტრატეგიულ მიზანთან – ბანკის მიერ სტაბილური და გარანტირებული მოგების მიღებასთან. საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებელია ქვეყნის საკრედიტო სუბიექტებმა შეიმუშაონ, საკრედიტო პოლიტიკა, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა შემდეგ მოვლენებს:

- ❖ კლიენტებისადმი სტრატეგიული ორიენტაცია და მათ საჭიროებების შესაბამისი საკრედიტო პროდუქტების შემუშავება;
- ❖ საბანკო დანახარჯების შემცირების სტრატეგიული ორიენტაცია. დანახარჯების შემცირება უნდა მოხდეს ტექნოლოგიური პროგრესის, საბანკო პროდუქტების დახვეწის და ახალი მაღალმომგებიანი საბანკო პროდუქტების შემოღებით.
- ❖ საკუთარი კაპიტალის გამრავლებისა და ოპტიმალური განთავსების სტრატეგია.

კომერციული ბანკების და საერთოდ, საკრედიტო სისტემის განვითარება შეუძლებელია სწორი საკრედიტო პოლიტიკის შემუშავების გარეშე. საკრედიტო პოლიტიკის პრინციპები საკრედიტო ურთიერთობათა სუბიექტების სამეურნეო საქმიანობის უკეთესი შედეგების დაინტერესების სტიმულატორის როლში უნდა გამოვიდეს. ამასთან მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აკისრია ეროვნული ეკონომიკის მასშტაბით საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების პროცესში.

კომერციული ბანკი საკრედიტო პოლიტიკის კონცეფციის ჩამოყალიბების შემდეგ უნდა შეუდგეს პრაქტიკულ საქმიანობას. ე.ი საკრედიტო პროცესის ორგანიზაციას, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგი ეტაპების სახით:

- ❖ საკრედიტო პორტფელის ფორმირება;
- ❖ პოტენციურ კლიენტთან მოლაპარაკების ჩატარება;
- ❖ გადაწყვეტილების მიღება სესხის დამტკიცების მიზანშეწონილობისა და მისი გაცემის ფორმების შესახებ;
- ❖ სესხთან დაკავშირებული ხელშეკრულებების და შეთანხმებების გაფორმება;
- ❖ კლიენტთან მუშაობა მისი სესხის მიღების შემდეგ;
- ❖ კრედიტი დაბრუნება და საკრედიტო პროცესის დასრულება


ამრიგად, რამდენადაც ნებისმიერი საკრედიტო დაწესებულების ერთ-ერთი გამსაზღვრელი ფაქტორია საკრედიტო პოლიტიკა, მის სწორად შედგენას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ამ სუბიექტისთვის, შესაბამისად საკრედიტო პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის ეკონომურ რეალობას და მის განვითარების დონეს. ფინანსურ სექტორთან ურთიერთობა ნებისმიერი სახის ბიზნესისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც კრედიტების ასევე სხვა საბანკო მომსახურების კუთხით. შეიძლება ითქვას რომ საბანკო კრედიტი მცირე ბიზნესისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან კაპიტალის სიმცირის გამო მცირე ბიზნესის კაპიტალის შევსების მთავარ წყაროს საბანკო კრედიტები წარმოადგენს. სწორედ ამიტომ კომერციული ბიზნეს დაკრედიტების პოლიტიკაზე დიდწილად არის დამოკიდებული მცირე ბიზნესის სოციალურ-ეკონომიკური სიკეთე, მეწარმის წარმატებული საქმიანობა და კეთილდღეობა.

ქვეყნებში სადაც სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება მცირე ბიზნესის სისტემური ხელშეწყობა, საბანკო სექტორაც უჩნდება დამატებითი მოტივაცია გაზარდოს რესურსები ბიზნეს დაკრედიტებაში, რადგან როდესაც სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას და ერთვება ერთვება ბიზნეს სექტორის განვითარებაში, კომერციულ ბანკებს ნაკლები რისკის გაწევა უწევს, შესაბამისად მიდგომები სესხის გაცემასთან დაკავშირებით არ არის მკაცრი და საპროცენტო განაკვეთებიც დაბალია.

საქართველოში ნებისმიერი ბიზნეს სესხის საპროცენტო განაკვეთი ეროვნულ ვალუტაში საშუალოდ არის 16%, ხოლო უცხოურ ვალუტაში 8%, რაც ჩემი აზრით მცირე ბიზნესისთვის მძიმე ტვირთს წარმოადგენს¹⁵. წლიური საპროცენტო განაკვეთები წინა წლებში გაცილებით მაღალი იყო, რაც ქართული ეკონომიკური ზრდის შეფერხების ერთ-ერთ ფაქტორად შეგვიძლია დავასახელოთ.

¹⁵ საქართველოს ეროვნული ბანკი - სტატისტიკური მონაცემები.

გრაფიკი 3.2.1. წლიური საპროცენტო განაკვეთები 2005-2019 წლები.



გარდა პროცენტების სიძვირისა კრედიტების მიღების საკითხებიც გართულებულია, რაც გამოწვეულია როგორც სხვადასხვა ფორმალური ბარიერების გამო, ასევე მსესხებლების არასათანადო დამოკიდებულების გამო. ხშირია შემთხვევა როდესაც ბიზნეს შემოსავლების აღრიცხვიანობის არ ქონის გამო ძნელდება დაკრედიტება. ბანკებში არსებული პროცედურის მიხედვით, მსესხებლის მიერ განაცხადის დაფიქსირების შემდეგ, ბანკირი მიდის მისი ბიზნესის შესწავლის მიზნით მის საწარმოო ობიექტზე რათა კლიენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია გადაამოწმოს და კარგად მომზადებული წარსდგეს საკრედიტო კომიტეტზე, რათა შეძლოს კლიენტის მოთხოვნის სწორად დასაბუთება. კომიტეტი აფასებს საწარმოს ურთიერთობებს სხვა ბანკებთან და მის ქცევას საკრედიტო დავალიანების გადახდასთან დაკავშირებით, აფასებს კლიენტის შემოსავლებს და ადგენს მის გადახდისუნარიანობას და ყოველივე ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას დააფინანსოს თუ არა მეწარმე კრედიტით. სესხის უზრუნველსაყოფად ბანკი მსესხებს სთხოვს უძრავი ან მოძრავი ქონების უზრუნველყოფას, ასევე შესაძლებელია უზრუნველყოფად გამოყენებულ იქნას ფასიანი ქაღალდები, თუმცა პრაქტიკაში გავრცელებულია უძრავი ქონებით უზრუნველყოფა. ამ მხრივ ბანკი ამცირებს კლიენტის ქცვიდან გამოწვეულ სესხის გაპრობლემების ალბათობას. მსესხებელი სესხის ყოველთვიური შენატანის გადახდის დაგვიანების იხდის ბანკის მიერ

დადგენილ საპროცენტო ჯარიმას. კრედიტით სარგებლობის პერიოდში ბანკი უფლებამოსილია აწარმოოს მონიტორინგი მსესხებელზე და ამოწმოს საწარმოს ბუღალტერია სურივილისამებრ.

აღნიშნული პროცედურა გარკვეულ დროს მოითხოვს, რაც განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით მოუქნელს წარმოგვაჩენს. საბანკო ბიუროკრატის გარდა, პრობლემები არსებობს ბიზნესის აღრიცხვიანობის კუთხითაც, კერძოდ მეწარმეთა გარკვეული ნაწილი არ ადეკლარირებს საკუთარ შემოსავლებს და ამით ამცირებს საგადასახადო ტვირთს, მაგრამ მეორეს მხრივ როდესაც ის ითხოვს ბიზნესს სესხს, შეუძლებელი ხდება მისი შემოსავლების და მომგებიანობის სწორად და სრულად დათვლა. დღესდღეობით ბიზნეს სესხების გაცემა ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მათგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია კომპანიის ფინანსური შესაძლებლობები, მომგებიანობა და მაშინ როცა მეწარმე მალავს მის მოგებას, მისი საჭიროებების სრულად დაკმაყოფილება შეუძლებელი ხდება.

მიუხედავად საბანკო სექტორის და ბიზნეს დაკრედიტების განვითარებისა, პრობლემები მაინც არსებობს და სწორედ ეს პრობლემები ქმნის ეკონომიკის განვითარების შემაფერხებელ ბარიერებს. ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარებით უფრო ხელმისაწვდომი გახდება ბიზნეს სესხი ეროვნული მეურნეობებისთვის. სწორად გამოყენებული რესურსებით შესაძლებელია ბიზნესის სწორად განვითარება, ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლების გაზრდა როგორც არის მთლიანი შიდა პროდუქტი და ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლების შემცირება როგორც არის უმუშევრობა.

3.3 ეკონომიკური კრიზისის გავლენა ბიზნესზე და ბიზნეს დაკრედიტების როლი ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში

ეკონომიკური მეცნიერებათა შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ობიექტი იყო, არის და იქნება ეკონომიკური კრიზისები, რადგან მათი გამომწვევი მიზეზების შესწავლა, გადალახვის გზების და საბოლოო ჯამში მისი სრულყოფილი ანაღვი საშუალებას იძლევა სამომავლოდ შესაძლებელი გახდეს ანალოგიური და მსგავსი ეკონომიკური კრიზისების იოლად დაძლევა ან საერთოდ თავიდან აცილება.

ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს როგორც ეკონომიკური ისე არაეკონომიკური. ეკონომიკური მიზეზებში შეუძლება ჩაითვალოს სახელმწიფო მეთაურების მხრიდან არასწორი გადაწყვეტილებების მიღება ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ფორმირების დროს. რაც შეეხება ეკონომიკური კრიზისის არაეკონომიკურ გამომწვევ მიზეზებს, შეიძლება იყოს პოლიტიკური და ბუნებრივი მოვლენები, საომარი მდგომარეობა, გლობალური პანდემია და სხვა, რომელთა მიერ გამოწვეული ზარალი გლობალურია.

ეკონომიკური კრიზისების დროს ძირითადად მცირდება ეკონომიკური აქტივობა, რაც იმას ნიშნავს რომ მეწარმე, ბიზნეს სუბიექტები, რომლებიც ნორმალურ მდგომარეობაში ორიენტირებულები არიან წარმოების ზრდაზე, ახალი პროდუქტების და მომსახურების შექმნაზე, ტექნოლოგიების განვითარებაზე, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე და მომგებიანობის ზრდაზე, ეკონომიკური კრიზისის დროს, თავის გადარჩენის მიზნით ხშირად უწევთ წარმოების შემცირება, თანამშრომლების შემცირება, შრომის ანაზღაურების შემცირება. საბოლოო ჯამში ეკონომიკური კრიზისი არამარტო კომპანიების არამედ ადამიანების და საოჯახო მეურნეობის კეთლდღეობასაც ამცირებს.

ამჟამად, მსოფლიოში გავრცელებულია COVID-19 (ე.წ. კორონა ვირუსის) პანდემია,, რომელმაც წარმოშვა ეკონომიკური კრიზისი მსოფლიოში. თავდაპირველად ძირითადი ყურადღება ეპიდემიის შეჩერებას და ვირუსის დამარცხებას დაეთმო, შემდეგ ეტაპებზე მნიშვნელოვანი გახდა ეკონომიკური ზიანის აღმოსაფხვლად მასშტაბული ღონისძიებების შემუშავება. მიუხედავად იმისა რომ მსოფლიოს ბევრი კრიზის ახსოვს, თითოეული მათგანის დროს მეტ-ნაკლებად მთავრობებმა იცოდნენ გამოსავლი რაშიც მდგომარეობდა რადგან კრიზისის წარმომშობი მიზეზები ეკონომიკური შინაარსის პრობლემები იყო, ხოლო კორონა ვირუსის მიერ წარმოქმნილ პანდემიასთან ბრძოლა ეკონომიკური საქმიანობის შეჩერება მოითხოვს რაც უფრო ამძიმებს ეკონომიკური კრიზისის ხარისხს. კორონავირუსს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს და მომავალშიც ექნება გლობალურ ეკონომიკაზე, მაგრამ ზუსტ შედეგებზე საუბარი მოცემულ მომენტში რთულია, რადგან ჯერ კიდევ ვირუსის დამარცხებაა პრიორიტეტი.

კორონა ვირუსის პანდემიის მიერ გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი ბუნებრივია შეეხო საქართველოსაც, რადგან ეკონომიკის ის დარგები, რომლებიც სრული დატვირთვით მუშაობდნენ და ხელს უწყობდნენ ეკონომიკის განვითარებას, ვეღარ შეძლებენ ისეთივე დატვირთვით ფუქციონირებას. საქართველო არ არის ბუნებრივი რესურსებით მოვაჭრე ქვეყანა, როგორც მაგალითად მსხვილი ნავთობმომპოვებელი

ქვეყნები და არც ისეა ადგილობრივი წარმოება განვითარებული რომ ადგილობრივი მოთხოვნა დააკმაყოფილოს. საქართველო იმპორტიორტი ქვეყანაა და ეკონომიკა გარკვეულწილად დამოკიდებულია სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. გავრცელებული მოსაზრებების მიხედვით მოსალოდნელია იპორტულ პროდუქციაზე ფასების ზრდა, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე უარყოფითად აისახება. რაც შეეხება შემოსავლებს და წარმოებას, როგორც მოგეხენებათ ახალი კორონა ვირუსის პანდემიის გამო საჭიროა გარკვეული სტანდარტების შემოღება სამუშაო პროცესში და აქედან გამომდინარე ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ წარმოება შემცირდება გასულ პერიოდებთან შედარებით, შემცირების გამომწვევი მიზეზი კი მეორე კვარტლის დასაწყისში აღნიშნული ვირუსის გამო ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობაა, რომლის დროსაც საწარმოების უდიდესი ნაწილის სამუშაო პროცესი დროებით შეჩერებული იყო.

საქართველოში ერთ-ერთი ახლად განვითარებული და დიდი პოტენციალის მქონე სფერო არის ტურიზმი, რომელსაც ყველაზე დიდი ზარალი მიადგა არამარტო საქართველოში, არამედ გლობალურად მთლიანი მსოფლიოს მასშტაბით. ტურიზმი საქართველოში განვითარებად სტადიაზეა, სულ უფრო მეტი ადამიანი ერთვება ტურისტულ ბიზნესში, ქვეყანაში არის სხვადასხვა ტიპის სასტუმროების მშენებლობის აქტიური ფაზა. გათვლა და მიზანი იყო სწორედ ყოველწლიურად გაზრდილი ტურისტთა ნაკადის მიღება, გამასპინძლება და ზრუნვა კვლავ ტურიზმის განვითარებაზე. პანდემიიდან გამომდინარე ძალიან რთული გახდა დასახული მიზნის შესრულება, რადგან ძალიან ბევრმა ადამიანმა დაკარგა შემოსავალი მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის გამო და ჯერ კიდევ რთულია პროგნოზების გაკეთება სამომავლო მდგომარეობასთან დაკავშირებით.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსთვის როგორც იმპორტიორი ქვეყნისთვის მოსალოდნელია იმპორტზე ფასების ზრდა და ამის ფონზე ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის და მომსახურების წარმოების შემცირება, რაც უდავოდ უარყოფითად აისახება ეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საბოლოოდ ურყოფითად აისახება მოქალაქეების ცხოვრების დონეზე. საქართველოსთვის და სხვა ეკონომიკური განვითარების სტადიაზე მყოფი ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანია მსოფლიო დაფიქსირებული ფინანსური კრიზისების ანალიზი და მისი გავლენის შესწავლა, რათა მათი გამოცდილების გაზიარებით შესაძლებელი იქნება კრიზისით გამოწვეული ზარალის შემცირება. თავდაპირველად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკების

შემუშავება, რომელთან ურთიერთ ხელშეწყობით სწრაფად მოხდება კრიზის დაძლევა.

კრიზისის დაძლევის მონეტარული პოლიტიკის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ბიზნეს დაკრედიტება. რადგან საქართველო არის იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანა ადგილობრივი წარმოების განვითარებით შესაძლებელია აღნიშნული დამოკიდებულების ხარისხის შემცირება. ადგილობრივი წარმოების განვითარება თითქმის შეუძლებელია მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების გარეშე, ხოლო მათ განვითარების ერთ-ერთი მარტივი და სწრაფი გზა სესხების გაცემა და ამ ინვესტიციის სწორად წარმართვა ბიზნეს სესხის დამტკიცების და გაცემის პროცედურა მოიცავს მსესხებლის წარსული ფინანსური მონაცემების შემოწმებას. მაშინ როცა პანდემიის გამო შეზღუდული იყო ეკონომიკური საქმიანობა, შესაბამისად ბანკების სტანდარტული მიდგომებით თუ შევხედავთ, დაკრედიტება შედარებით რთული და რისკიანი გახდება. მართალია გარკვეული რისკის აღება კომერციულ ბანკებსაც მოუწევთ, რათა გადაირჩინონ საკუთარი თავიც, მაგრამ რისკების აღება მოხდება სესხის მაქსიმალურად დაზღვევის შემდეგ. მაშინ როცა მსესხებელი საკუთარი ბიზნესის გადასარჩენად იღებს სესხს და ამ სესხის უზრუნველსაყოფად ბანკს წარუდგენს როგორც მის ბიზნეს აქტივებს ასევე მის პირად ქონებას, ის გარკვეულ წილად შეზღუდული იქნება გადაწყვეტილებების მიღებაში, რადგან მისმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას მისი და მისი ოჯახის კეთილდღეობას. სწორედ აქ უნდა იყოს მნიშვნელოვანი სახელმწიფოს როლი და ჩართულობა. რისკებს, რომელსაც იღებენ კომერციული ბანკები და მსესხებლები სახელმწიფომ საკუთარ თავზე უნდა აიღოს. აღნიშნული პასუხისმგებლობის აღება შესაძლებელია რამდენიმე გზით მოხდეს, ეს შეიძლება იყოს როგორც ბიზნეს სესხის პროცენტის სუფსიდირება, ასევე გარანტორად დადგომა. თუ სახელმწიფო მოახდენს ბიზნესში ინვესტირებული სესხების პროცენტების სუფსიდირებას, მეწარმეებს შესაძლებლობა ექნებათ სწრაფად განავითარონ და აღადგინონ საკუთარი საქმიანობა, თუ სახელმწიფო გარანტორად დაუდგება მეწარმეებს ბანკთან სესხის აღების დროს, ბანკის მხირიდან აღარ იქნება საჭირო დამატებითი უზრუნველყოფების მოთხოვნა და მეწარმეც აღარ იქნება შეზღუდული გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც შეეხება სესხის მიზნობრიობის კონტროლს, ამის უზრუნველყოფას ახდენს ბანკი, მაგრამ სახელმწიფომაც უნდა შექმნას სხვადასხვა ბერკეტები მიზნობრიობის გაკონტროლების მიზნით, რათა არ მოხდეს სუფსიდის არამიზნობრივად ხარჯვა.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია სტარტაპ პროექტების დაფინანსება, დღესდღეობით არცერთ კომერციულ ბანკს არ აქვს სტარტაპ დაკრედიტების კუთხით საკრედიტო პროდუქტი. აქაც ძალიან დიდია სახელმწიფოს როგორც გარანტორის როლი. სტარტაპის დაფინანსება ბანკებისთვის მაღალრისკიან ბიზნესს წარმოადგენს, თუ მაგალითად სტანდარტული ბიზნეს სესხის გაცემის დროს შესაძლებელია წარსული მონაცემების შესწავლა და ამის გათვალისწინებით სამომავლო პროგნოზების გაკეთება, სტარტაპის შემთხვევაში რთულია პროგნოზის გაკეთება და შესაბამისად წარმატების ალბათობაც თუ ისე მაღალია. ამ შემთხვევაშიც რისკის ამღებად სახელმწიფო უნდა აღმოჩნდეს. ჩემი აზრით უნდა გამოიკვეთოს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი დარგები და ამ დარგებში მოხდეს აქტიურად სტარტაპების დაფინანსება.

კიდევ ერთ მნიშვნელოვანი საკითხია ქვეყნისთვის პრიორიტეტული დარგების გამოვლენა, ისეთი როგორიც არის მაგალითად აგრო და ტურიზმის სექტორი. პანდემიის შედეგად აგრო სექტორზე მოთხოვნა გაიზარდა და ნათლად დაგვანახა რომ აგრო ბიზნესის განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის. აგრო მიმართულებით მაღალია სახელმწიფოს ჩართულობა, თუმცა დასახვეწია კომერციული ბანკების მიდგომები. მოგეხსენებათ აგრო ბიზნესი სპეციფიკური ბიზნესია, გარკვეული აგრო მიმართულებები სეზონურად იძლევა შემოსავალს, აქედან გამომდინარე აუცილებელია საშელავათო პერიოდების არსებობა აგრო სესხის გაცემის დროს, კომერციული ბანკებისთვის საშელავათო პერიოდით სესხის გაცემა და წელიწადში ერთხელ არ ორჯერ გადახდის შესაძლებლობა არასასურველს წარმოადგენს. მაშინ როდესაც აგრო ბიზნესი შემოსავალს იძლევა წელიწადში ერთხელ და საბანკო სესხის გადახდა უწევს ყოველთვიურად, ხელს უშლის ბიზნესის განვითარებას. რაც შეეხება ტურიზმის ბიზნესს, შექმნილი მოლოდინებიდან გამომდინარე ბანკებისთვის არ წარმოადგენს ტურიზმის სფერო მიმზიდველ ბაზარს დაკრედიტებისთვის, რაც არ არის სწორი. ტურიზმის სფეროს გააქტიურებასთან ერთად მნიშვნელოვანია ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება აღნიშნული ბიზნესის სწრაფი ტემპებით განვითარებისთვის.

ბიზნეს დაკრედიტება დადებითად ზემოქმედებს ისეთ ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, როგორიც არის მთლიანი შიდა პროდუქტი და დასაქმების დონე. რაც შეეხება ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის საშუალებას, აქაც ძალიან მნიშვნელოვანია დაკრედიტების როლი კრიზისის სწრაფად დაძლევაში.

დასკვნა

თანამედროვე ეკონომიკის პირობებში მცირე და საშუალო ბიზნესს შეუძლია გახდეს გარანტი კორპორაციების დივერსიფიკაციის და სამომხმარებლო ბაზრის ფორმირების. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით შესაძლებელია ეფექტურად და სწრაფად მოგვარდეს ისეთი პრობლემები, როგორცაა უმუშევრობის შემცირება, საშუალო შემოსავლების ზრდა, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა, კონკურენციის ზრდა და ზოგადად ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკური ფონის გაუმჯობესება. თუ გვსურს რომ საქართველოს ეკონომიკა ჩამოყალიბდეს თანამედროვე, მაღალი სტანდარტების და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების ეკონომიკად, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება გარდაუვალია. სწორედ ამიტომ ამ ტიპის და მასშტაბების ბიზნესის განვითარება ქვეყნის სტრატეგიულ ამოცანად უნდა იქცეს.

მცირე და საშუალო ბიზნესს გააჩნიათ მთელი რიგი ნაკლოვანებები. სახელწოდებიდან გამომდინარე მცირე ბიზნესს მცირე კაპიტალი და რესურსები აქვს, ამის გამო მაღალია მათი გაკოტრების ალბათობა, შეუძლებელია მაღალმარჟიანი და შედარებით რისკიანი გადაწყვეტილებების მიღება, რესურსების სიმცირე ასევე იწვევს მის ნაკლებკონკურენტუნარიანობას ბაზარზე. მცირე ბიზნესის ეს და სხვა ნაკლოვანებანი განაპირობებს სახელმწიფოსა და საკრედიტო ინსტიტუტების მხრიდან მისი მხარდაჭერის აუცილებლობას, რაც უმთავრესად გულისხმობს, ერთის მხრივ, მათი იაფი კრედიტით უზურნველყოფას და მეორეს მხრის საკრედიტო დაწესებულების, კერძოდ კი კომერციული ბანკების სტიმულირებას დააფინანსონ მცირე მეწარმეები გრძლევადიანი და შეღავათიანი კრედიტებით.

მიმაჩნია რომ საქართველოში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა მნიშვნელოვნად განავითარებს საქართველოს ეკონომიკას, დადებითად იმოქმედებს მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებასა და ზოგადად, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის ზოგადად საჭიროა ქვეყნის სხვადასხვა დარგების კომპლექსური და ურთიერთ შეთანხმებული მოქმედება, თუმცა ამ ეტაპზე ვისაუბოთ საბანკო სექტორზე და კონკრეტულად ბიზნეს დაკრედიტების როლზე.

ჩემი აზრით, ბიზნეს სესხი ეს არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თითოეული მეწარმე-ბიზნესმენისთვის, ვინც ორიენტირებულია განვითარებასა და მოგების

მაქსიმიზაციაზე. ნაშრომში განხილულია არსებული სიტუცია, საბანკო პროდუქტები და სტატისტიკური ინფორმაცია, საიდანაც შეგვიძლია დავასკვნათ რომ ყოველდღიურად იხვეწება საკრედიტო პროდუქტები მეწარმეებისთვის, მაღალია სახელმწიფოს ჩართულობა მეწარმეების მხარდაჭერის კუთხით. სტატისტიკური ინფორმაციიდან ნათლად ჩანს რომ სტაბილური და მწყობრი ნაბიჯებით ვითარდება საქართველოში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესი რაც დადებითად აისახება ქვეყაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, თუმცა ვთვლი რომ გადადგმული ნაბიჯები არ არის საკმარისი ეკონომიკის სწრაფი ტემპით განვითარებისთვის. სიახლეებია საჭირო საბანკო სექტორის მხირადან. ჩემი აზრით აუცილებელია შემდეგი ცვლილებების და სიახლეების დანერგვა:

საპროცენტო განაკვეთები - მცირე ბიზნესისთვის უფრო მეტად ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაბალი საპროცენტო განაკვეთები სესხებზე. მცირე და საშუალო საწარმოებისთვის უნდა არსებობდეს გზები, რომლის საშუალებითაც ისინი შეძლებენ დაბალპროცენტო სესხის მიღებას. დღეს ასეთ პროგრამებზე ხელმისაწვდომობა მაღალია, თუმცა არა ბიზნესის ყველა დარგში, რაც ვერ უწყობს ხელს მცირე და თუნდაც საშუალო ბიზნესის სწრაფი ტემპით განვითარებას. ასევე აღსანიშნავია რომ მეწარმეები რომელთაც პატარა მოცულობის სესხი ესაჭიროებათ, მათთვის წლიური საპროცენტო განაკვეთი გაცილებით მაღალია ვიდრე მოცულობით დიდი სესხით სარგებლობის შემთხვევაში. აედან გამომდინარე პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ხარჯები მათთვის უფრო მაღალია, ვიდრე მსხვილი კომპანიებისათვის. მაგალითად: ერთი 100 000 ლარიანი სესხის გაცემა უფრო მაღალრისკიანია ბანკისთვის ვიდრე ათ 10 000 ლარინი სესხი, რადგან მეორეს შემთხვევაში რისკები უფრო დივერსიფიცირებულია ვიდრე პირველის შემთხვევაში, მიუხედავად დაბალი რისკიანისა მაინც მაღალია საპროცენტო განაკვეთი მოცულობით მცირე სესხებზე. მიმაჩნია, რომ საპროცენტო განაკვეთების შემცირებით წახალისდება მეწარმის ქცევა აილოს სესხი საწარმოს განვითარებისთვის და მოთხოვნა მცირე მოცულობის სესხებზე გაიზრდება, რაც მცირედით მაინც გაზრდის კომერციული ბანკების მომგებიანობას. შედეგად შესაძლებელი ხდება ორივე მხარის, როგორც მცირე ბიზნესის ასევე კომერციული ბანკების, მდგომარეობის გაუმჯობესება.

სესხის სტრუქტურა - ბიზნეს სესხის სწორი სტრუქტურით გაცემა მნიშვნელოვანია მცირე ბიზნესისთვის. საშეღავათო პერიოდებით სესხის გაცემა ან გრძელვადიანი სესხის გაცემა არ არის მიმზიდველი კომერციული ბანკებისთვის, რადგან მათთვის უფრო ხელსაყლრელია სესხის შენატანის ყოველთვიური მიღება და სესხის სწრაფად დაფარვა. სესხის სწორი სტრუქტურით გაცემაში ვგულისხმობ ბიზნესისთვის

ხელსაყლრელი მდგომარეობის შექმნას. მაშინ როცა ყოველთვიურად მეწარმეს უწევს საკუთარი საწარმოს ფულადი ნაკადებიდან თანხის ამოღება და სესხის შენატანის გადახდა, გარკვეულწილად შემაფერხებელ ბარიერად წაერმოჩინდება. ამიტომ აუცილებელია კრედიტორი ორგანიზაციები ინდივიდუალურად მიუდგნენ თითოეულ განაცხადს და სესხის ვადა და საშელავათო პერიოდი არ იყოს შემაფერხებელი ფაქტორი სესხზე გადაწყვეტილების მიღებისას. სწორი სტრუქტურით და ვადი გაცემული სესხის შემთხვევაში(მიუხედავად იმისა გრძელვადიანი იქნება სესხი თუ მოკლევადიანი და საშელავათო პერიოდით იქნება თუ ანუიტეტური გრაფიკით) ბანკსაც აქვს სარგებელი და მეწარმე სუბიექტსაც.

სესხის უზრუნველყოფა - ხშირია შემთხვევები როდესაც წარმატებული და კარგი საკრედიტო ისტორიის მქონე მეწარმეები საკუთარი ბიზნესის კიდევ უფრო განვითარებისა და ზრდისთვის ვერ ახერხებენ ბიზნეს სესხის აღებას. ასეთ დროს შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს სესხის უზრუნველყოფა. სესხის უზრუნველსაყოფად კომერციული ბანკები ძირითადად ითხოვენ სესხის უძრავი ქონებით უზრუნველყოფას. შესაძლებელია ასევე მოძრავი ქონებით ან მანქანა-დანადგარებით უზრუნველყოფა, თუმცა მათი მაღალი ამორტიზაციის გამო გრძელვადიან სესხებზე ბანკები არ იღებენ უზრუნველყოფად. ასეთ დროს ვთვლი რომ უნდა ჩაერთოს სახელმწიფო და მოგვევლინოს როგორც სესხის გარანტორი. გარანტიის სანაცვლოდ კი კომპანიებს მოსთხოვოს სესხის თანხის ინვესტირება ინვესტირება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი დარგების განვითარებაში და გარკვეული რაოდენობით სამუშაო ადგილების შექმნა(სამუშაო ადგილების რაოდენობა, მინიმალური ხელფასის შემოღება დამოკიდებული უნდა იყოს გარანტიის მოცულობაზე).

Start Up ბიზნეს პროექტების დაფინანსება - დღესდღეობით საქართველოში ფუნქციონირებად არცერთ კომერციულ ბანკს არ აქვს ისეთი საკრედიტო პროდუქტი რომელიც დააფინანსებს ახალი ბიზნესის დაწყებას. კომერციული ბანკების ასეთი მიდგომა გასაკვირი არ არის, რადგან განვითარებად ქვეყანაში, სადაც დაბალია განათლების დონე, იგრძნობა გარკვეული პოლიტიკური არასტაბილურობა და სხვა ფაქტორების გამო, მაღალია ახალი ბიზნესის კრახით დასრულების ალბათობა. თუმცა ქვეყანაში სადაც მოსახლეობის რაოდენობა 3.7 მილიონია, დაკრედიტების ბაზარი სწრაფად გაჯერებადია, ამიტომ აუცილებელია ახალი საკრედიტო პროდუქტების შექმნა რათა საბანკო სექტორთან ერთად სწრაფად განვითარდეს ბიზნესი საქართველოში და ბანკების მიზნობრივი ბაზარიც სწრაფად გაჯერებადი არ იყოს. ვთვლი რომ ახალი ბიზნესის დაფინანსება დაბალ რისკიანი იქნება თუ

ბიზნესის საკონტროლო პაკეტის მფლობელი კომერციული ბანკი იქნება(მინიმუმ 51% წილის მფლობელი). ასეთ დროს ბანკი უშუალოდ ერთვება ბიზნესის მართვაში და თავად აკონტროლებს თავის ინვესტიციას, აწვდის დამწყებ მეწარმეს ბიზნესის მართვის ცოდნას და ეტაპობრივად სესხის დაბრუნებასთან ერთად ბანკი მეწარმეს სრულად გადასცემს ბიზნესს. Start Up ბიზნესის ამგვარი მეთოდით დაფინანსებით ბანკს აღარ უწევს მაღალრისკიანი სესხის გაცემა და ქვეყანაში იქმნება ახალი საწარმო.

საბოლოოდ რომ შევაჯამოთ, ჩამოთვლილი ნაკლოვანებების აღმოფხვრით და სიახლეების დანერგვით შესაძლებელია მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც ისეთი პატარა და ეკონომიკურად შეჭირვებული ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, ნიშნავს ეროვნული წარმოების ზრდას, უმუშევრობის დონის შემცირებას, ეროვნული ვალუტის სტაბილურობას, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას და ზოგადად ქვეყნის და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. ე.ჯულაყიძე „მცირე ბიზნესი: მეწარმეობა, მენეჯმენტი და ადმინისტრირება“ - ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა 2009 წ.
2. ვ. მოსიაშვილი, ფ. ლომიძე, ფ. ქოქოსაძე, „საბანკო საქმე“(ლექციების კურსი - დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის) - გამომცემლობა: „თბილისი“ 2014 წ.
3. ი.კოვზანაძე, გ.კონტრიძე „თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა“ - გამომცემლობა: „სეზანი“ 2014 წ.
4. კ. ბასილაია, „საბანკო საქმე“ - გამომცემლობა „თბილისი“ 2018 წ.
5. ლ.ღუდუშაური „ბანკები და საბანკო ოპერაციები“ - თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა 2003 წ.
6. ლ. ქოქიაური „საბანკო საქმიანობის საფუძვლები“ - თბილისი ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა - 2012 წ.
7. ო.შულღაია „მცირე ბიზნესის საფუძვლები“ - გამომცემლობა „უნივერსალი“ 2010 წ.
8. „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2020 წ.
9. William A. McEachern, „Economics“ – Publishing house: „Cengage Learning“ 2005y.

გამოყენებული ვებ-გვერდების სია:

1. ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდი arda.ge
2. საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდი nbg.gov.ge
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდი geostat.ge
4. საძიებო სისტემა Google
5. ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი mof.ge
6. შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი rs.ge
7. Arda.gov.ge
8. Bankofgeorgia.ge
9. Bpa.ge
10. Dspace.nplg.gov.ge
11. Forbes.ge

12. Ipower.ge
13. Sab.ge
14. Tcbank.ge